პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 27 აპრილი, 1946 წ. № 85 (7558). ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის მშრომელნო! ფართოდ გააჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება თვიური და კვარტალური გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, 1946 წლის—ახალი ხუთწლედის პირველი წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან

ამიერკავკასიის რკინიგზელთა ღირსების საქმე

სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში რკინიგზის ტრანსპორტს ფრიად საპატიო მოვალეობა აქვს დაკისრებული. იგი მოწოდებულია შეუფერხებლად მიაწოდოს სამშენებლო მასალები და მოწყობილობანი ფართოდ გაშლილ ახალ მშენებლობებს, უზრუნველყოს მრეწველობის საწარმოები ნედლეულითა და სათბობით, დროულად გადაზიდოს მზა პროდუქცია, მომსახურება გაუწიოს საკოლმეურნეო სოფელს, სანიმუშოდ მოაწესრიგოს მგზავრთა გადაყვანა.

ამ ამოცანათა გადაწყვეტაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამიერკავკასიის რკინიგზას. დიდი სამამულო ომის წლებში ამიერკავკასიის რკინიგზელები სანიმუშოდ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას ფრონტისა და სამშობლოს წინაშე. კარგად დაიწყეს მათ მეოთხე სტალინური ხუთწლედის პირველი წელიც. მგზავრთა გადაყვანის პირველი კვარტალის გეგმა, მიუხედავად საგარეუბნო მოძრავი შემადგენლობის ნაკლებობისა, თითქმის მთლიანადაა შესრულებული. 113,2 პროცენტით შესრულა ამიერკავკასიის რკინიგზამ ტვირთზიდვის პირველი კვარტალის გეგმა. გადაჭარბებით არის შესრულებული ისეთი დიდმნიშვნელოვანი ტვირთების გადაზიდვის გეგმა, როგორიცაა: ქვანახშირი, ფეროშენადნობები, ხორბალი, ფქვილი, საიმპორტო საქონელი. გზა შეუფერხებლად ამარაგებს სამშენებლო მასალებითა და მოწყობილობებით ამიერკავკასიის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნების მშენებლობებს. მეტალურგიულმა ქარხანამ პირველ კვარტალში მიიღო 3.631 ვაგონი სამშენებლო მასალა, ხოლო ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ 4.497 ვაგონი. მარტის შედეგების მიხედვით ამიერკავკასიის რკინიგზამ პირველი ადგილი დაიკავა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

კიდევ უფრო დიდია ამიერკავკასიის რკინიგზელთა ამოცანები გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში. ჩვენი სოციალისტური მრეწველობა ყოველდღიურად უფრო და უფრო მეტ პროდუქციას უშვებს და მეტი ნედლეულის მიწოდებას მოითხოვს. გაზაფხულ - ზაფხულის თვეებში კიდევ უფრო სწრაფი ტემპით იწარმოებს მშენებლობა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებული მარაგი დროულ გადაზიდვას საჭიროებს. მუშა-მოსამსახურეთა შვებულებებთან, საზაფხულო სასკოლო არდადეგებთან და საკურორტო სეზონთან დაკავშირებით მკვეთრად გაიზრდება მოთხოვნილება მგზავრთა გადაყვანაზე. მარტო მეორე კვარტალში ამიერკავკასიის რკინიგზამ წინასწარი ვარაუდის მიხედვით უნდა გადაიყვანოს 6 მილიონამდე მგზავრი.

როგორ ემზადება ამიერკავკასიის რკინიგზა გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში მგზავრთა გადაყვანისა და გაძლიერებული ტვირთზიდვისათვის?

უკანასკნელ დროს ორთქლმავლების შეკეთების მხრივ მდგომარეობა უმჯობესდება. მარტში ორთქლმავლების შეკეთების გეგმა შესრულდა. სადღესასწაულო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად პირველი მაისისათვის გეგმის გადამეტებით საშუალო შეკეთებიდან გამოშვებულ იქნება 2 ორთქლმავალი, აწევითი შეკეთებიდან—5, ხოლო გარეცხვითი შეკეთებიდან—20. ამიერკავკასიის რკინიგზის ლუნინელი მემანქანეები, რომელთა რაოდენობა გზაზე ათეულობით არის, გადაჭარბებით ასრულებენ დავალებებს კომერციული სისწრაფის ზრდის დარგში, ზოგავენ საწვავს და სანიმუშოდ უვლიან ორთქლმავლებს.

სერიოზული მუშაობა სწარმოებს მგზავრთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის. საექსპლოატაციოდ არის გადაცემული ორი სანიმუშო მატარებელი თბილის-ერევნის ხაზზე, თითო მატარებელი კახეთისა და ბათუმ-სოხუმის ხაზებზე. უკვე მზადდება და მაისის პირველი რიცხვებისათვის საექსპლოატაციოდ იქნება გადაცემული თბილის-სოხუმის და თბილის-სოჭის სანიმუშო მატარებლები. უახლოეს დროში უნდა შეკეთდეს და წესრიგზე იქნას მოყვანილი თბილის-ბორჯომის, ხაშურ-ბორჯომის, ბორჯომ-ბაკურიანის, შორაპან-ჭიათურის, ქუთაის-ტყიბულის, სოჭა-სოხუმის მატარებლები. ამ მიზნით დირექციას უკვე მომარაგებული აქვს საჭირო ხე-ტყის მასალა და საფანჯრე მინა.

შეკეთებული და წესრიგზეა მოყვანილი მთელი რიგი ვაგზლები. მათ შორის მგზავრთა კულტურული მომსახურების საქმეში მოწინავეა თბილისის, გორის, ბათუმის, ბორჯომის, მცხეთის, გაგრისა და სოჭის ვაგზლები და მათი კოლექტივები.

მაგრამ გაზაფხულ - ზაფხულის ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანისათვის მზადების საქმეში ამიერკავკასიის რკინიგზას ნაკლოვანებებიც აქვს. რკინიგზის ყველა უბანი ერთნაირად როდი ასრულებს დატვირთვა-გადმოტვირთვის სადღეღამისო ნორმებს. უკანასკნელ დროს გზის ზოგიერთ სადგურში ადგილი ჰქონდა ტვირთების ქურდობა-დატაცების შემთხვევებს. გზის დაცვითი ორგანოები გადამჭრელ ზომებს არ იღებენ ამ სამარცხვინო მოვლენის წინააღმდეგ. დროა რკინიგზის მილიციამ და სასამართლო ორგანოებმა გადამჭრელი ღონისძიებანი მიიღონ სახელმწიფო ქონების მტაცებელთა წინააღმდეგ და საბჭოთა კანონების მთელი სისასტიკით დასაჯონ დამნაშავენი.

ტვირთზიდვის გეგმის შესრულების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს კლიენტების მიერ ტვირთების დროული გაზიდვა სასაწყობო მეურნეობიდან, ვაგონების დაწესებული გრაფიკის ზუსტად დაცვა. მაგრამ ამ წესს ყველგან როდი იცავენ. მაგალითად, ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის სპეციალური სატვირთო შემადგენლობა 26 მარტს კასპის სადგურში 27 საათზე მეტ ხანს იდგა ცემენტით დატვირთვის მოლოდინში. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მისასვლელ ხაზებზე განტვირთვის მოლოდინში დღეობით დგანან მშენებლობისათვის გამოყოფილი სპეციალური შემადგენლობის ვაგონები. ბათუმისა და ფოთის ნავსადგურები დროულად ვერ აწოდებენ რკინიგზას გამოსაზიდ ტვირთებს და ამით აფერხებენ ტვირთზიდვის გეგმის შესრულებას. დაბალია ორთქლმავლების რემონტის ხარისხი სოხუმის საორთქლმავლო დეპოში.

უნდა გაუმჯობესდეს შეკეთებული და საექსპლოატაციოდ გადაცემული ვაგონების მოვლა, რასაც დღემდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

ბოლშევიკური პარტიის საპირველმაისო მოწოდებანი საბჭოთა რკინიგზელების წინაშე საპატიო ამოცანებს სახავს.

— **საბჭოთა რკინიგზელებო!**—ნათქვამია მოწოდებებში, — **უზრუნველყავით ტვირთების დროული მიწოდება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის! გაადიდეთ დატვირთვა და დააჩქარეთ ვაგონების ბრუნვა! მიაღწიეთ ახალ წარმატებებს რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობაში!**

ეჭვი არ არის, ამიერკავკასიის რკინიგზელები კვლავაც მოწინავენი იქნებიან დასახულ ამოცანათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

რუსული იარაღის დიდების ძეგლები

კიშინიოვი, 24 აპრილი. (საქდესი). მოლდაველი ხალხი სათუთად ინახავს ისტორიულ მონუმენტებს, რომლებიც რუსული იარაღის დიდებას მოწმობენ. ერთ-ერთი ასეთი სამხედრო ძეგლია კაგულის მაზრის სოფელ ვულკანეშტის ახლოს. ეს არის 30-მეტრიანი ქვის სვეტი, რომელიც აღმართულია თურქებზე რუსების 1770 წლის გამარჯვების აღსანიშნავად.

მონუმენტზე ამოკვეთილია წარწერა: „1770 წელი, 21 ივლისი. გრაფმა პეტრე ალექსის-ძე რუმიანცევმა ამ ადგილას 17 ათასი რუსი მეომრით დაამარცხა მტრის 150-ათასიანი არმია".

ამ მონუმენტის ახლოს არის ობელისკი, აღმართული გენერალ-ფელდმარშალ ვორონცოვისათვის 1806-1812 წლების ომში გამარჯვების ნიშნად.

კიშინიოვიდან ას კილომეტრზე სოფელ ტალენეშტის ახლოს, „დიალულ მაგურის" (ნისლის მთა) მაღლობზე დაცულია ფელდმარშალ თავად პოტიომკინ-ტავრიდელის ძეგლი; იგი აღმართულია იქ, სადაც მან შეჰკრა იასის ზავი, რომლითაც მოლდავეთი დამოუკიდებელი გახდა.

მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭომ დიდი სახსრები გადასდო ძეგლთა აღსადგენად. მონუმენტების შესასწავლად რესპუბლიკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა და მოლდავეთის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა წელს ისტორიული ბრძოლების ადგილებში რამდენიმე სამეცნიერო ექსპედიცია გაგზავნეს.

აკადემიკოს ი. პ. პავლოვის სახელობის პრემია

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა დააარსა აკადემიკოს ი. პ. პავლოვის სახელობის პრემია ფიზიოლოგიის დარგში საუკეთესო ნაშრომისათვის. პრემიის მიკუთვნება მოხდება ყოველწლიურად. პრემია 20 ათასი მანეთის ოდენობით 1945 წელს შესრულებული ნაშრომისათვის ამას წინათ მიეკუთვნა პროფესორ ი. ვ. ტონკიხს—ავტორს გამოკვლევისა „ახალი მასალები ჰიპოფიზის ფიზიოლოგიის შესახებ". (საქდესი).

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პირველი სხდომა

პარიზი, 25 აპრილი. (საქდესი). დღეს, 25 აპრილს, საღამოს შესდგა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პირველი სხდომა, რომელზეც საბჭოთა კავშირის მხრივ მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი, აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ამხ. ა. ი. ვიშინსკი და ამხ. ვ. გ. დეკანოზოვი. სხდომის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნდა შემდეგი № 1 კომუნიკე:

„საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ოთხი წევრი, რომლებსაც დავალებული აქვთ მოამზადონ სამშვიდობო ხელშეკრულებანი ევროპაში, დღეს საღამოს 5 საათზე შეიკრიბა თავის პირველ სხდომაზე ლუქსემბურგის სასახლეში.

სხდომის დასაწყისში ბ-ნმა ბიდომ, რომელიც, როგორც მომწვევი სახელმწიფოს წარმომადგენელი, თავმჯდომარეობდა ამ სხდომაზე, მისალმებით მიმართა საგარეო საქმეთა სხვა მინისტრებს; ბ-ნმა ბირნსმა, ბ-ნმა მოლოტოვმა, ბ-ნმა ბევინმა უპასუხეს მას.

შემდეგ საბჭომ მიიღო სესიისათვის სამოქმედოდ პროცედურის წესები, რომლებიც მოყვანილია ქვემოთ, როგორც კომუნიკეს დამატება.

ამის შემდეგ საბჭო შეუდგა იმ საკითხების შესწავლას, რომლებიც ამ სესიის დღის წესრიგში იქნებიან.

სხდომა დამთავრდა 8 საათზე. შემდეგი სხდომა შესდგება ხვალ, დღის 4 საათზე.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პროცედურის წესები

1. **თავმჯდომარეობა.** თავმჯდომარეობა საბჭოში რიგრიგობით გადავა თვითეულ სხდომაზე.

2. **სხდომები.** როგორც წესი, მოადგილეთა სხდომები ტარდება დილაობით, ხოლო მინისტრთა საბჭოს სხდომები— სადილობის შემდეგ. მოადგილეები სხდომის დღის წესრიგს რეგულარულად ამზადებენ და სწყვეტენ იმ საკითხებს, რომლებსაც მათ ვადასცემენ. საბჭო ჰქმნის საჭირო ტექნიკურ კომიტეტებს.

3. **ენები, რომლებიც საბჭოში იხმარება.** ინგლისური, ფრანგული და რუსული ენები საბჭოს ოფიციალური და სამუშაო ენებია.

4. **საბჭოს წევრთა კომპეტენცია.** საბჭოს ოთხი წევრი ესწრება ყველა სხდომას და მონაწილეობს ყველა დისკუსიაში, მაგრამ ხმის უფლება იმ საკითხებზე, რომლებიც მშვიდობიან მოწესრიგებას ეხება, აქვთ მხოლოდ იმ წევრებს, რომელთა მთავრობებიც არიან ან ითვლებიან დროებითი ზავის შესახებ იმ შეთანხმებათა ხელმომწერ მხარეებად, რომლებიც მოცემულ მშვიდობიან მოწესრიგებას შეეხებიან.

5. **განკარგულებანი პრესის შესახებ.** იქმნება პრეს-კომუნიკეთა კომიტეტი, რომელშიც შედიან ოთხი დელეგაციის პრეს-ატაშეები. ეს კომიტეტი აქვეყნებს საბჭოსთან შეთანხმებულ კომუნიკეებს, რომლებიც იუწყებიან მუშაობის მიმდინარეობისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ.

6. **სამდივნო.**

a) იქმნება საერთო სამდივნო ოთხი დელეგაციის მდივნების შემადგენლობით. იგი გამოიყენებს მოსამსახურეებს ოთხი დელეგაციის პერსონალიდან; მისი რიცხობრივი შემადგენლობა განისაზღვრება დელეგაციების მდივნებს შორის შეთანხმებით.

b) საერთო სამდივნოს მთავარი მდივანი ინიშნება დელეგაციების მდივნებს შორის შეთანხმებით.

c) სამდივნო პასუხისმგებელი იქნება ყველა დოკუმენტის ტექნიკური მომზადებისათვის. იგი პასუხისმგებელი იქნება ყველა იმ დოკუმენტის დანომრილ ეგზემპლარებად გამრავლებისათვის, რომლებსაც დელეგაციები წარადგენენ განსახილველად, აგრეთვე დელეგაციისათვის მათი ასლების გაგზავნისათვის. ასეთი დოკუმენტები გამრავლებულ იქნება ინგლისურ, რუსულ და ფრანგულ ენებზე. სამდივნომ უნდა უზრუნველყოს ამ დოკუმენტების თარგმნა.

d) სამდივნო იღებს საბჭოს სხდომების მოწვევასთან დაკავშირებულ ყველა საჭირო ზომას. მას გადააქვს მინისტრთა საბჭოს და მოადგილეების რეგულარულ სხდომათა საათები მათი სურვილისამებრ; იგი ამზადებს აგრეთვე ყველა სხვა სხდომას, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდნენ.

e) სხდომათა ოქმი წარმოადგენს საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ნაკრებ ცნობას და არ შეიცავს დისკუსიის ყველა დეტალს.

f) საბჭოს მუშაობის წინსვლის მიხედვით სამდივნო აგრეთვე პასუხისმგებელი იქნება, დელეგაციებთან კონსულტაციით, საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა საკსებით შეთანხმებული ტექსტის შედგენისათვის".

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის გამარჯვება

გუშინ ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი გუნდები — 1945 წლის ჩემპიონი მოსკოვის „დინამო" და თბილისის „დინამო".

ეს შეხვედრა მეტად საპასუხისმგებლო იყო. შარშან მოსკოვის „დინამომ" მთელი თამაში ბრწყინვალედ ჩაატარა, ერთადერთი დამარცხება მან განიცადა მოსკოვის წითელი არმიის ცენტრალური სახლის გუნდისაგან, რომელიც ჩემპიონს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა. ყველას ახსოვს მოსკოველთა ტრიუმფი ფეხბურთის ქვეყანაში — ინგლისში. მათ დაამარცხეს დიდი ბრიტანეთის უძლიერესი გუნდი „არსენალი", ფრედ დაამთავრეს შეხვედრა გლაზგოს გუნდთან; გლაზგო კი ბრიტანეთში „ფეხბურთის უმაღლესი კლასის ქალაქად" ითვლება.

ფეხბურთის მოყვარულთ ახსოვთ შარშანდელი შეხვედრა ამავე სტადიონზე... მსაჯმა არ ჩასთვალა თბილისელების მიერ გატანილი ერთი ბურთი და ამის გამო მოგება მოსკოველებს დარჩათ ანგარიშით 2:1.

ყოველივე ეს აცხოველებს ინტერესს ამ თამაშისადმი.

სრულ 6 საათზე საკავშირო კატეგორიის ლენინგრადელი მსაჯი ავერკინი ორი მოსკოველი დამხმარე მსაჯის თანხლებით გამოდის მოედანზე. გამოდიან გუნდებიც... მათ კარგად იცნობენ მაყურებლები — აქ არის მოსკოველთა სახელმოხვეჭილი მეკარე ხომიჩი, რომელსაც ინგლისელებმა „ვეფხვი" შეარქვეს, თავდაცვის ცენტრი სემიჩასნი, თავდამსხმელები ტროფიმოვი, ბესკოვი, ს. სოლოვიოვი. თბილისელთა გუნდს მეთაურობს ბორის პაიჭაძე — ეს მოუქანცველი და ყველგანმყოფი თავდამსხმელი. კართან დგას სანაია. ჩვენს გუნდშია გოგუა, ბერძენიშვილი, ხარბედია, ლოლობერიძე... გუნდები ძირითადი შემადგენლობით განლაგდნენ მოედანზე. მსაჯმა მისცა ნიშანი...

ამაღელვებელი თამაში დაიწყო. მიკროფონთან არის ფეხბურთის მატჩების ცნობილი რადიოკომენტატორი და დიქტორი ვადიმ სინიავსკი. მის ხმას ისმენენ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში — მოსკოვში, უკიდურეს ჩრდილოეთსა და შორეულ აღმოსავლეთში, ბერლინსა და ბუქარესტში. სინიავსკიმ ვერც კი მოასწრო ორიოდე წინადადების გადაცემა, რომ ჩემპიონის კარის ბადე შეირხა და წელს პირველი ბურთი გაუსხლტა ხელიდან ხომიჩს... ეს იყო უსწრაფესი თამაში. ამის მსგავსი იშვიათად უნახავს თბილისელ მაყურებელს. პაიჭაძე ვერ შეაკავეს მოსკოველმა დამცველებმა, თვითონ სემიჩასნიმაც კი. თბილისის თავდასხმის ცენტრმა კუთხეში დარტყმული დაბალი ბურთით პირველ წუთშივე მოუპოვა გამარჯვება თავის გუნდს.

ბურთი მოედნის ცენტრშია. მოსკოველები ავითარებენ შეტევას, მაგრამ თბილისელმა თავდამსხმელებმა თამაშის ისეთი თავბრუდამხვევი ტემპი აიღეს, რომ შეუძლებელი შეიქნა მათი „ჩაკეტვა". თამაშის დაწყებიდან ხუთიოდე წუთი გავიდა, და მოსკოველთა კარებთან შეიქმნა „ქაოსი": ხარბედია, ანთაძე, პაიჭაძე, ლოლობერიძე მოსკოველთა საჯარიმო მოედანზე არიან, ზედიზედ ურტყამენ კარში. ამჯერად მოსკოველთა თავდამსხმელებიც მიეშველნენ დაცვას. რადიკორსკი, სემიჩასნი და სტანკევიჩი ზედ კართან ტრიალებენ. მაგრამ... რადიკორსკიმ თავისი ხელით გამოიტანა ბურთი ბადიდან.

5 წუთის შემდეგ ანგარიშია 2:0 თბილისელთა სასარგებლოდ!

თამაში თანდათან გამწვავდა. განსაკუთრებით აქტიურობენ თავდამსხმელები ბესკოვი, ს. სოლოვიოვი და ტროფიმოვი. ბურთი უფრო ხშირად ტრიალებს თბილისელთა საჯარიმო მოედანზე. თბილისელი მოთამაშე ხელით შეეხო ბურთს, საჯარიმო დარტყმა. ურტყამს ბესკოვი... სანაიამ ვერ აიღო, თუმცა შორი მანძილიდან, მაგრამ ძლიერად დარტყმული ბურთი. ეს იყო თამაშის 28-ე წუთზე; ანგარიში 2:1 დარჩა თამაშის პირველი ნახევრის ბოლომდე.

მომავალი 45 წუთი გადასწყვეტს გამარჯვების საკითხს. მოსკოვის დინამოელებმა სწორედ მეორე ნახევარში იციან მთელი შესაძლებლობის გამოყენება. „ჩელსის" გუნდთან შეხვედრისას თამაშის დამთავრებას 20 წუთი უკლდა და ამ 20 წუთის განმავლობაში „დინამოელებმა" სამი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში; თბილისელებს მხოლოდ შეუსუსტებელი თამაშით შეუძლიათ დაიმკვიდრონ გამარჯვება.

თამაშის მეორე ნახევარიც ცოცხლად დაიწყო. მოსკოველთა საჯარიმო მოედანზეა პაიჭაძე. იგი კვლავ გაუსხლტა სემიჩასნის და ისევ ძლიერად დარტყმული დაბალი ბურთი გაგზავნა მოსკოველთა კარში. ხომიჩმა შესძლო ბურთის აღება, მაგრამ ხელიდან გაუვარდა; ამ მომენტით ისარგებლა ხარბედიამ, სწრაფად მიიჭრა ბურთთან და დაარტყა. მოსკოველთა კარის ბადეში მესამედ გაეხვა ბურთი... ეს იყო თამაშის განახლებიდან მე-5 წუთზე.

უფრო და უფრო მწვავდება თამაში. არც ერთ გუნდს არ ეტყობა მოქანცვა. მოსკოველები თანდათან გადადიან შეტევაზე და სახიფათო მომენტებს ჰქმნიან თბილისელთა კართან. მეკარე სანაიას უხდება მეტად მძიმე ბურთების აღება.

თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე მოსკოველებმა კვლავ შორი მანძილიდან შესძლეს მეორე საპასუხო ბურთის გატანა; ამ შემთხვევაში სანაიას ხელი შეუშალა მასავე გუნდის დაცვამ.

თამაშის ტემპი ოდნავადაც არ ნელდება, მაგრამ დრო მიიწურა. მსაჯმა მისცა დამთავრების ნიშანი. ანგარიშია 3:2 თბილისელთა სასარგებლოდ.

თბილისის „დინამოს" გუნდმა სახელოვანი გამარჯვება მოიპოვა.

40 ათასი მაყურებელი შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალს ამ ჭეშმარიტად ოსტატურ თამაშს.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის" ორდენებითა და „დედობის მედლის" მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წ. 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ:

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ცხრა შვილი „სახელოვანი დედის" I ხარისხის ორდენით

1. **გაბრიჭიძე** ლება ვარდენის-ასული—ქუთაისის რაიონის სოფ. გოდოგნის კოლმეურნეობის წევრი;
2. **პატრიშვილი** მაშო ანდრიას-ასული—დუშეთის რაიონის სოფელ ბაზალეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს რვა შვილი „სახელოვანი დედის" II ხარისხის ორდენით

1. **ზედგინიძე** კეკელა ბესარიონის-ასული—ასპინძის რაიონის სოფელ ძველის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
2. **კალაიჯიშვილი** ბარბარე პეტრეს-ასული—ასპინძის რაიონის სოფელ ხიზაბავრის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
3. **მაზმიშვილი** როზა თომას-ასული—ასპინძის რაიონის სოფელ ხიზაბავრის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
4. **ხელაია** ნინო ეგნატეს-ასული—ქუთაისის რაიონის სოფელ ოფურჩხეთის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს შვიდი შვილი „სახელოვანი დედის" III ხარისხის ორდენით

1. **ბილიხეიშვილი** ოლღა დომენტის-ასული—ქუთაისის რაიონის სოფელ ტყაჩირის კოლმეურნეობის წევრი;
2. **ბილიხეიშვილი** ქეთევან მათეს-ასული—ქუთაისის რაიონის სოფელ ტყაჩირის კოლმეურნეობის წევრი;
3. **გიორგაძე** ანასტასია (ტასო) ვასილის-ასული—ასპინძის რაიონის სოფელ საროს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
4. **გიორგაძე** სოფიო ილარიონის-ასული — ასპინძის რაიონის სოფელ საროს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
5. **მარგველაშვილი** ალექსანდრა მელიტონის-ასული—ქუთაისის რაიონის სოფელ გოდოგნის კოლმეურნეობის წევრი;
6. **მექოშვილი** ბარბარე დავითის-ასული—ასპინძის რაიონის სოფელ ხიზაბავრის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
7. **ტონიკანიანი** მარიამ თათევოსის-ასული—ასპინძის რაიონის სოფელ თამალის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
8. **ხაზალაშვილი** მარგარიტა იოსების-ასული—ასპინძის რაიონის სოფელ ხიზაბავრის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
9. **ხარაბაძე** ბაბილინე სერაფიონის-ასული — ქუთაისის რაიონის სოფელ ტყაჩირის კოლმეურნეობის წევრი;
10. **ხატიძე** ოლღა პორფილეს-ასული—ასპინძის რაიონის სოფელ ერკოტის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
11. **ხუტუნაშვილი** ლონია სარდიონის-ასული—ქუთაისის რაიონის სოფელ გეგუთის კოლმეურნეობის წევრი;
12. **ჯიქური** პელაგია ივანეს-ასული—ასპინძის რაიონის სოფელ იდუმალის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ექვსი შვილი „დედობის მედლის" I ხარისხის მედლით

1. **აფრიდონიძე** გალინა მელიტონის-ასული—ქუთაისის რაიონის სოფელ ოდილოურის კოლმეურნეობის წევრი;
2. **გუკასიანი** ვართანუშ სამველის-ასული — ასპინძის რაიონის სოფელ ტამალის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
3. **გრიგორიანი** მარიამ ოჰანეზის-ასული—ასპინძის რაიონის სოფელ ტამალის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
4. **ველჯანაშვილი** კეკელა ვასილის-ასული—ასპინძის რაიონის სოფელ ხიზაბავრის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
5. **ზედგინიძე** ანა იოსების-ასული—ასპინძის რაიონის სოფელ ძველის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
6. **ზედგინიძე** სოფიო ვასილის-ასული—ასპინძის რაიონის სოფელ ძველის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
7. **ზედგინიძე** სოფიო (სონა) ივანეს-ასული—ასპინძის რაიონის სოფელ ჰობარეთის კოლმეურნეობის წევრი;
8. **ივანეიშვილი** ოლღა არქიპოს-ასული—ქუთაისის რაიონის სოფელ ოდილოურის კოლმეურნეობის წევრი;
9. **კაველიძე** ელისო ტატეს-ასული—ასპინძის რაიონის სოფელ ნაქალაქევის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
10. **მამაგეიშვილი** აგრაფენა გიორგის-ასული—ქუთაისის რაიონის სოფელ ქვიტირის კოლმეურნეობის წევრი;
11. **მხეიძე** სოფიო სარდიონის-ასული—ქუთაისის რაიონის სოფელ ნაგარევის კოლმეურნეობის წევრი;
12. **ფართლაძე** ვალენტინა მოსეს-ასული—ასპინძის რაიონის სოფელ ოთის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
13. **ქებულაძე** ნადეჟდა სიმონის-ასული — ქუთაისის რაიონის სოფელ ქვიტირის კოლმეურნეობის წევრი;
14. **ყირიმლიშვილი** ანასტასია (ტასო) ვასილის-ასული—ასპინძის რაიონის სოფელ ხიზაბავრის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
15. **შალამბერიძე** აგრაფენა ლევანის-ასული—ქუთაისის რაიონის სოფელ ქვიტირის კოლმეურნეობის წევრი;
16. **შალამბერიძე** ანტისო სოლომონის-ასული—ქუთაისის რაიონის სოფელ ქვიტირის კოლმეურნეობის წევრი;
17. **შალამბერიძე** ელენე დარისპანის-ასული—ქუთაისის რაიონის სოფელ ქვიტირის კოლმეურნეობის წევრი;
18. **შალამბერიძე** სოფიო საბას-ასული—ქუთაისის რაიონის სოფელ ქვიტირის კოლმეურნეობის წევრი;
19. **წიქორიძე** ქალინკა პორფილეს-ასული — ქუთაისის რაიონის სოფელ გეგუთის კოლმეურნეობის წევრი;
20. **ჭეიშვილი** ოლღა ვასილის-ასული — ქუთაისის რაიონის სოფელ ქვიტირის კოლმეურნეობის წევრი;
21. **ხმალაძე** ანეტა სეთის-ასული—ასპინძის რაიონის სოფელ ჰობარეთის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ხუთი შვილი „დედობის მედლის" II ხარისხის მედლით

1. **ბერიძე** ევა ბაგრატის-ასული—ასპინძის რაიონის სოფელ ერკოტის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
2. **ბერიძე** საბედა ლუკას-ასული—ასპინძის რაიონის სოფელ ერკოტის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
3. **ბალდასარიანი** ბარბარე თათევოსის-ასული—ასპინძის რაიონის სოფელ ტამალის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
4. **ბალოიანი** იელაბერ ოჰანეზის-ასული—ასპინძის რაიონის სოფელ ტამალის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
5. **გაბუნია** აგრაფენა ირაკლის-ასული—ქუთაისის რაიონის სოფ. გეგუთის კოლმეურნეობის წევრი;
6. **გაბუნია** ანეტა ლუკას-ასული—ქუთაისის რაიონის სოფელ გეგუთის კოლმეურნეობის წევრი;
7. **გაბუნია** ზინაიდა ბაგრატის-ასული—ქუთაისის რაიონის სოფელ გეგუთის კოლმეურნეობის წევრი;
8. **გაბუნია** ნინო გიორგის-ასული—ქუთაისის რაიონის სოფელ გეგუთის კოლმეურნეობის წევრი;
9. **გვირჯიშვილი** ნინო გაბრიელის-ასული — ასპინძის რაიონის სოფელ ჰობარეთის კოლმეურნეობის წევრი;
10. **გიგიაძე** სოფიო ნიკიფორეს-ასული—ქუთაისის რაიონის სოფელ გეგუთის კოლმეურნეობის წევრი;
11. **ზედგინიძე** ნინო ევგენის-ასული—ასპინძის რაიონის სოფელ ძველის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
12. **კუხიანიძე** მარიამ თედორეს-ასული—ქუთაისის რაიონის სოფელ გეგუთის კოლმეურნეობის წევრი;
13. **ზედგინიძე** ანასტასია (ტასო) ესტატეს-ასული—ასპინძის რაიონის სოფელ ძველის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
14. **სააკიანი** ალავენიკ არუთინის-ასული—ასპინძის რაიონის სოფელ ტამალის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
15. **სააკიანი** სირანუშ რაფიელის-ასული—ასპინძის რაიონის სოფელ ტამალის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
16. **სააკიანი** შუშანა ანტონის-ასული—ასპინძის რაიონის სოფელ ტამალის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
17. **ხირაძე** ელენე ანტონის-ასული—ქუთაისის რაიონის სოფელ გეგუთის კოლმეურნეობის წევრი.
18. **ხირაძე** ქეთევან ანდრიას-ასული—ქუთაისის რაიონის სოფელ გეგუთის კოლმეურნეობის წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

ქ. თბილისი, 1946 წ. 9 აპრილი.

მ ო ს კ ო ვ ი

(„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გრეკოვის სახელობის სტუდიაში

გრეკოვის სახელობის სტუდიის მხატვრები ომის პერიოდში ფრონტზე იმყოფებოდნენ. ისინი იყვნენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ წითელი არმიის დიადი ბრძოლების მოწმენი. მრავალი მათგანი მონაწილეობდა ბერლინის აერიშში, ბუდაპეშტისათვის, ვენისათვის, პრაღისათვის წარმოებულ ბრძოლებში.

დაბრუნდნენ რა მოსკოვში, სტუდიაში აღზრდილნი უდიდესი აღფრთოვანებით შეუდგნენ მუშაობას. უკანასკნელ წელს მათ მიერ შექმნილია ათობით დიდი ტილო, რომლებიც გვიჩვენებენ საბჭოთა მეომრების გმირობას და მამაცობას. შექმნილია ასობით ჩანახატი, პორტრეტები, კომპოზიციები.

უახლოეს დღეებში სტუდიის მხატვართა ნამუშევარი ნაჩვენები იქნება გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ სპეციალურ მხატვრულ გამოფენაზე. გამოფენა გაიხსნება მაისის პირველ რიცხვებში წითელი არმიის ფრუნზეს სახელობის ცენტრალურ სახლში. წარმოდგენილი იქნება სამხედრო მხატვართა ასზე მეტი ფერწერული, გრაფიკული და სკულპტურული ნამუშევარი. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მიძღვნილია ომის უკანასკნელი პერიოდისადმი, გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურებისადმი გერმანიაში. ასამდე ნახატი მოთავსდება წიგნში „ბერლინის იერიში", რომელიც დასაბეჭდად მზადდება.

გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი გამოფენა საფუძველს უყრის სამამულო ომის შესახებ დიდი მხატვრული ფონდის შექმნას, რაც განზრახულია წითელი არმიის 30 წლისთავისათვის.

მთელი ძალები ახალი ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის

საბჭოთა ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებს. ამ მოწოდებებში საბჭოთა კავშირის თვითეულმა მოქალაქემ, სადაც უნდა იყოს იგი, რა პოსტზედაც უნდა შრომობდეს, თვალნათლივ დაინახა, თუ რაში მდგომარეობს ახლა მისი პატრიოტული ვალი, რას მოელის მისგან სამშობლო.

— მუშებო, გლეხებო, საბჭოთა ინტელიგენციავ!—მიმართავს პარტიის ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა ადამიანებს. — იბრძოლეთ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის!

ისევე, როგორც ომის წლებში მთელი ხალხი ცხოვრობდა ერთი მიზნით და ერთი აზრით—„ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის!"—ახლაც პარტია რაზმავს მილიონობით მასებს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის საბრძოლველად, ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის ახალი აღმავლობისათვის საბრძოლველად.

პარტია მოუწოდებს:

— საბჭოთა კავშირის შრომელნო! სწრაფად მოვიშუშოთ ომით მოყენებული ჭრილობები, აღვადგინოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და გადავაჭარბოთ მას, მთელი ძალღონე მოვახმაროთ ახალი ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას!

ეს არის ახლა საბჭოთა ხალხის მთავარი ამოცანა, მისი ყველა ღონისძიების მიზანი. ეს მიზანი კონკრეტულია. ახალი სტალინური ხუთწლედის დიადი გეგმის განხორციელებისათვის მთელი ენერგიით ბრძოლა, ეს უწინარეს ყოვლისა ნიშნავს შეჯიბრების ფართოდ გაშლას თვიური და კვარტალური გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, 1946 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. მიმდინარე სამეურნეო ამოცანების ბოლშევიკურად განხორციელება უზრუნველჰყოფს ახალი ხუთწლედის მთელი საქმის წარმატებას.

აი რატომ უსახავს პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის საპირველმაისო მოწოდებებში კონკრეტულ ამოცანებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკებს. ჩვენი ქვეყანა მეტალურგებისაგან მოელის მეტ თუჯს, ფოლადს, ნაგლინს. იგი მოითხოვს ქვანახშირისა და ნავთის მრეწველობის მუშაკთაგან გაადიდონ სათბობის მოპოვება. ის, რომ გამოუშვან მეტი მანქანები, დაზგები, ხელსაწყოები, ავტომობილები, ტრაქტორები, ორთქლმავლები, ელექტრომოწყობილობა არის საბჭოთა მანქანათმშენებლობის სხვადასხვა დარგის მუშაკთა წვლილი ახალი ხუთწლედის განხორციელების საყოველთაო-სახალხო საქმეში. პარტია მოუწოდებს მშენებლებს უფრო სწრაფად აღადგინონ და ააგონ ახალი ფაბრიკები, ქარხნები, შახტები, ელექტროსადგურები, საცხოვრებელი ბინები და კულტურული დაწესებულებები, ხოლო სამშენებლო მასალათა მრეწველობის მუშაკებს—დაამზადონ მეტი ცემენტი, საკედლე მასალა, მინა, სახურავი. საფეიქრო, მსუბუქი, კვების და ადგილობრივი მრეწველობის მუშაკებს მოეთხოვებათ ყოველმხრივ გაადიდონ ფართო მოხმარების საქონლისა და კვების პროდუქტების გამოშვება, გააუმჯობესონ მათი ხარისხი.

— სანიმუშოდ ჩავატაროთ საგაზაფხულო თესვა! მივაღწიოთ 1946 წელს მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვან გადიდებას! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი სურსათი და ნედლეული! ასეთი მოწოდებით მიმართავს პარტია კოლმეურნეებს, გლეხებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, აგრონომებსა და სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს. მინდვრად თავდადებული მუშაობა ახალი ხუთწლედისათვის ბრძოლის საპატიო და პასუხსაგები უბანია.

ასეთსავე კონკრეტულ ამოცანებს უსახავენ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებები საბჭოთა ინტელიგენციასაც. სამშობლო მოელის მეცნიერების მუშაკებისაგან, რომ მათ გაამდიდრონ მეცნიერება და ტექნიკა ახალი გამოგონებებითა და აღმოჩენებით, უზრუნველჰყონ ტექნიკური პროგრესი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ბავშვთა სწავლების ხარისხის ამაღლება, განათლებული და კულტურული საბჭოთა ადამიანების, სოციალისტური სამშობლოს პატრიოტების აღზრდა მოეთხოვება ჩვენს მასწავლებლობას. საბჭოთა მედიცინის მუშაკებმა განუხრელად უნდა გააუმჯობესონ სამკურნალო და სანატორული დაწესებულებების მუშაობა.

რა დარგშიც უნდა შრომობდეს საბჭოთა ადამიანი, იგი ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებში ჰპოვებს ნათელ და ზუსტ პასუხს: რა უნდა აკეთოს მან დღეს, ხვალ, ყოველდღე, რომ მისმა შრომამ დახმარება გაუწიოს ხუთწლედის განხორციელებას, განამტკიცოს ჩვენი სამშობლოს ძლიერება, აამაღლოს ჩვენი ხალხის საარსებო დონე. სწორედ იმაშია საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების უდიდესი უპირატესობა, რომ ჩვენი ქვეყნის თვითეული მოქალაქე—რიგითი მუშა და დიდი საწარმოო ხელმძღვანელი, კოლმეურნე და მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი,—მთელი მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი აკეთებს ერთ საერთო საქმეს, აღფრთოვანებულია ერთი საერთო მიზნით. მთელმა მსოფლიომ დაინახა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ძალა ომის მძიმე გასაცდელის წლებში. ახლა ეს ძალა მიმართულია მშვიდობიანი შემოქმედებითი მიზნებისაკენ. იგი დაგვეხმარება უფრო სწრაფად აღვადგინოთ, სწრაფად ავაშენოთ, სწრაფად ავამაღლოთ ჩვენი ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე. არ არსებობენ ისეთი სიძნელეები,—ხოლო ჩვენ ვიცით, რომ ოთხი წლის მძიმე ომის შემდეგ ჩვენ მრავალი სიძნელე გვაქვს,—არ არის ისეთი დაბრკოლება, რომელთა დაძლევა არ შეეძლოს ჩვენი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის დიად, ყოვლისძძლე ძალას, ჩვენი ხალხისა, რომელიც მჭიდროდ დარაზმულია კომუნისტური პარტიის გარშემო, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო!

ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდის ცნობები ახალი სტალინური ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების წარმატებებზე. იზრდება მოწინავე საწარმოთა რიცხვი, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს აპრილის გეგმა და პირველი მაისის დღესასწაულისათვის ჩვენს ქვეყანას აძლევენ პროდუქციას გეგმის გადამეტებით. მოწინავეთა მაგალითი რაზმავს ჩამორჩენილებს, ეხმარება მათ მიაღწიონ საერთო აღმავლობას. მრავლდება ახალი ხუთწლედის გმირთა სახელები, რომლებიც გვიჩვენებენ შრომაში მამაცობის მაღალ ნიმუშებს. განსაკუთრებული აღმავლობით მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვა — დარაზმულად, ორგანიზებულად შრომობს კოლმეურნე გლეხობა, იბრძვის ახალი ხუთწლედის პირველი წლის მაღალი მოსავლისათვის. მარტო უკრაინაში 20 აპრილისათვის დათესილი იყო ორი მილიონი ჰექტარით მეტი, ვიდრე შარშან იმავე დროს. აღფრთოვანებულად მუშაობს საბჭოთა ინტელიგენცია, რომელიც მეცნიერების ყველა უახლეს მიღწევას ხუთწლედის სამსახურში აყენებს. სწორედ ეს არის ხუთწლედის განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლა. ამოძრავდა ჩვენი ხალხის ყველა მძლავრი და დაუშრეტელი ძალები, რაც ყველაზე მტკიცე და საიმედო გარანტიაა ჩვენი გეგმების, ჩვენი გრანდიოზული შემოქმედებითი პროგრამის რეალობისა!

ხალხის ღონისძიებათა აღმაფრთოვანებელი და ორგანიზატორი არის ბოლშევიკების პარტია, ლენინ-სტალინის დიადი და სახელოვანი პარტია. ისე როგორც ომის წლებში იგი ხალხის მთელ ძალ-ღონეს წარმართავდა ერთი მიზნისაკენ—მტერზე გამარჯვებისაკენ, ისე ახლა იგი ამ ძალღონეს წარმართავს ახალი მიზნისაკენ—ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისაკენ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი პირველი მაისის დღესასწაულის წინ მოწოდებით მიმართავს კომუნისტებსა და კომკავშირელებს:

— იყავით მეურნეობისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში!

ახალი ხუთწლედისათვის ბრძოლის ყველა უბანზე—მრეწველობაში და ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობასა და მეცნიერების დარგში კომუნისტებმა და კომკავშირელებმა უნდა გვიჩვენონ თავდადებულობის, შრომის დისციპლინის, გაბედული საწარმოო ნოვატორობისა და ინიციატივის მაგალითები, ამ მაგალითით აღაფრთოვანონ ყველა მშრომელი, იყვნენ მასების ნამდვილი წინამძღოლები და ორგანიზატორები. ახლა კომუნისტისათვის არ არსებობს იმაზე უფრო საპატიო ამოცანა, ვიდრე ის, რომ იყოს ხუთწლედისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში. ვინაიდან ხუთწლედი მიმართულია საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი გაძლიერებისაკენ, ჩვენი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისაკენ, იგი ხორციელდება ჩვენი ხალხის აყვავებისა და ბედნიერებისათვის. ხოლო ხალხის ინტერესები, მისი კეთილდღეობა ყოველთვის იდგა და დგას ყველაზე მაღლა კომუნისტური პარტიისათვის, თვითეული ბოლშევიკისათვის.

დაძაბულ შრომაში ახალ მშენებლობათა ხარაჩოებზე, ქარხნებისა და ფაბრიკების საამქროებში, რომლებიც გადავიდნენ სამშვიდობო პროდუქციის გამოშვებაზე, საგაზაფხულო მინდვრებზე ეგებება ჩვენი ხალხი ახალი ხუთწლედის პირველი წლის გაზაფხულის სასიხარულო დღესასწაულს. იგი მზად არის თავისი ძალების საბრძოლო საპირველმაისო დათვალიერებისათვის, ძალებისა, რომლებიც ახლა მიმართულია ერთი მიზნისაკენ,—განახორციელოს ხუთწლიანი გეგმის წინასწარდასახულობანი.

ლენინ-სტალინის დიადი და უძლეველი დროშით შრომობენ, აშენებენ, იბრძვიან საბჭოთა ადამიანები. მათს პატრიოტულ ღონისძიებებს აღაფრთოვანებს და წარმართავს საკავშირო კომუნისტური პარტია. ისინი გამარჯვებისაკენ მიჰყავს პარტიისა და ხალხის დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს.

„პრავდის" 26/IV მოწინავე

საბჭოთა კავშირში

უკრაინის სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია

კიევი, 23 აპრილი. (საკდესი). ვინიცის ოლქის კოლმეურნეთა ინიციატივით საბჭოთა უკრაინის სოფლებში ფართოვდება ელექტროსადგურთა მასობრივი მშენებლობა. უკვე შარშან რესპუბლიკაში 275 სასოფლო ელექტროსადგური აღადგინეს. ყველა სადგურის საერთო სიმძლავრემ 6 ათასი კილოვატი შეადგინა. გარდა ამისა, არსებულ მაღალვოლტიან ქსელებში ჩართვამ შესაძლებელი გახადა 400-ზე მეტი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის, 200-მდე მტს-ის, მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოს და სარემონტო ქარხნის ელექტროფიცირება, 414 ელექტროფიცირებული კალოს მოწყობა, 2.500 ჰექტარი ბოსტნეული კულტურების მორწყვა.

უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭომ და უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონეს ინიციატივა ვინიცელი კოლმეურნეებისა, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს ააგონ წელს ორასი მცირე ჰიდროელექტროსადგური, და გადაწყვეტილება მიიღეს უკრაინაში 1.166 სასოფლო ელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ. ელექტროფიცირებულ იქნება 1.977 კოლმეურნეობა, 317 მტს-ი, მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნო და სარემონტო ქარხანა, 47 საბჭოთა მეურნეობა. რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უნდა დაიდგას 2.850 ელექტრომოტორი და 939 ელექტროსალეწი აგრეგატი.

სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციას დიდ დახმარებას უწევენ რესპუბლიკის საწარმოები და დაწესებულებანი. სტალინოს ოლქის, კრასნოგორსკის დინასის ქარხნის კოლექტივმა, რომელიც შეფობას უწევს მარინკის რაიონს, მაღალვოლტიანი ხაზი გაიყვანა მარინკის მტს-ში. ელექტროენერგიას იღებს 9 კოლმეურნეობა, სადაც ზაფხულში მოეწყობა ელექტრორწყვა. კომბინატმა „სტალინუგოლმა" 35-კილოვატიანი დიზელის თბოსადგური ააგო ბოლშოი იანისოლში. გამარჯვების დღისათვის იქვე მთავრდება 90-კილოვატიანი მეორე ელექტროსადგურის აგება.

კიევის გარშემო ელექტროფიცირებული იქნება 40 კოლმეურნეობა „კიევენერგოს" მაღალვოლტიან ქსელში მათი ჩართვის გზით. კოლმეურნეობების ნაწილი ელექტროენერგიას მიიღებს შაქრის ქარხნებისაგან.

საწარმოების მიერ კოლმეურნეობებისათვის გაწეულმა დახმარებამ ვინიცის ოლქს საშუალება მისცა წელსვე აამუშაოს 70 სასოფლო ელექტროსადგური და გაანათოს კოლმეურნეთა 20 ათასი სახლი და კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი შენობები. ათობით ელექტროსადგური აამუშავდა უკრაინის სსრ კიევის, სტალინოს, ხარკოვისა და სხვა ოლქების სოფლებში.

ღრუიანი აგური

სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს ქარხნები წელს მაგნიტოგორსკში, სლავიანსკში, ლენინოგორსკში, ალექსინოსა და დნეპროპეტროვსკში იწყებენ ახალი სამშენებლო მასალის — მრავალღრუიანი აგურის წარმოებას. ასეთი აგური ჩვენში ჯერჯერობით მზადდება მხოლოდ ერთ ქარხანაში—კოპლში (ესტონეთის სსრ). იგი ჩვეულებრივ აგურზე 40 სანტიმეტრით უფრო მაღალია და აქვს 105 პატარა ოთხკუთხი ღრუ, რომლებიც განლაგებულია შვიდ სწორ მწკრივად.

ღრუიან აგურს მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს ჩვეულებრივ მთლიან აგურთან შედარებით. იგი თითქმის ერთი მესამედით უფრო მსუბუქია, რაც შესაძლებელს ხდის აყვანილი კედლის წონის 40-45 პროცენტით შემცირებას, ამსუბუქებს შენობის კარკასს და ამით ამცირებს საძირკვლის დატვირთვას. აგურის ღრუები აუმჯობესებენ ნაგებობის თბოტექნიკურ თვისებებს. გარდა ამისა, კედლების სისქე ნახევარი აგურით მცირდება და შენობის გამოშრობის პროცესი ჩქარდება.

ღრუიანი აგურის წარმოებისათვის საჭიროა განსაკუთრებული ხარისხის თიხა, რაც ჩვენი ქვეყნის მრავალ რაიონში მოიპოვება. ნედლეულის ხარჯვა 30 პროცენტით კლებულობს, ხოლო სათბობისა — 20 პროცენტით. მზა აგურის გამოშრობა მთლიან აგურთან შედარებით ერთიორად უფრო სწრაფად ხდება. ჩქარდება გამოწვაც.

ღრუიანი აგურის გამოყენება კალატოზისაგან არავითარ ახალ ჩვევას არ მოითხოვს. (საკდესი).

ასაწყობი კოტეჯი-სახლები

ტალინი, 24 აპრილი. (საკდესი). ქარხანა „იარვაკანდი" შეუდგა სტანდარტული ასაწყობი კოტეჯი-სახლების მასობრივ დამზადებას. თვითეულ ასეთ სახლს ექნება ორი ოთახი, სამზარეულო, წინაოთახი და სააბაზანო, მისი აწყობა შეიძლება მზა საძირკველზე ერთი დღის განმავლობაში. პირველი 150 კოტეჯი-სახლი დაიდგმება კოხტლის ფიქლის მაღაროების მუშათა დაბაში.

ეწყობა სამოთახიანი კოტეჯი-სახლების დამზადება თითო ოჯახისათვის. ქარხანა ყოველთვიურად გამოუშვებს 50 ასეთ სახლს.

მძიმე ინდუსტრიის წამყვანი როლი ახალ ხუთწლედში

სოციალისტური მშენებლობის პროცესში განსაკუთრებით დიდი როლი ეკისრება მძიმე მრეწველობას, რომელიც ამზადებს წარმოების იარაღებსა და საშუალებებს.

მძიმე ინდუსტრიის უქონლად ჩვენ ვერ შევძლებდით თავი დაგვეღწია ძეფის რუსეთის ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობისათვის, ვერ შევძლებდით გაგვეხორციელებინა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური რეკონსტრუქცია, შეგვეიარაღებინა ისინი თანამედროვე ტექნიკურ საფუძველზე.

მძიმე ინდუსტრიის უქონლად ჩვენ ვერ შევძლებდით ტექნიკურად აღგვეჭურვა და გარდაგვექმნა სოფლის მეურნეობა სოციალისტურ საფუძვლებზე.

შემდეგ, მძიმე ინდუსტრია არის საფუძველი შრომის მაღალი ნაყოფიერების მისაღწევად ეკონომიკის ყველა დარგში, მაშასადამე, იგი არის სოციალისტური დაგროვების მაღალი ტემპების უმნიშვნელოვანესი წანამძღვარი.

საკუთარი მძლავრი მძიმე ინდუსტრიის შეუქმნელად ჩვენ ვერ შევძლებდით მიგვეღწია სსრ კავშირის ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის და უზრუნველგვეყო მისი მაღალი თავდაცვისუნარიანობა.

„რუსეთის ხსნა არის, — ამბობდა ლენინი,—არა მარტო კარგი მოსავალი გლეხურ მეურნეობაში,—ეს კიდევ ცოტაა,—და არა მარტო კარგი მდგომარეობა მსუბუქი მრეწველობისა, რომელიც გლეხობას მოხმარების საგნებს აწვდის,—ესეც კიდევ ცოტაა,—ჩვენ გვესაჭიროება აგრეთვე **მძიმე** ინდუსტრია". (რუსული გამოცემა, ტ. XXVII, გვ. 349).

ლენინური მოძღვრება მძიმე მრეწველობის მნიშვნელობის შესახებ სოციალისტური მშენებლობის წარმატებისათვის ამხანაგმა სტალინმა დაიცვა მტრების თავდასხმათაგან, შეავსო, განავითარა, შექმნა სსრ კავშირის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის დიდებული და მწყობრი თეორია.

ლენინისა და სტალინის მოძღვრების შესაბამისად პარტია და მთავრობა ხუთწლედების მანძილზე განსაკუთრებით მაღალი ტემპით ავითარებდნენ მძიმე ინდუსტრიას. ამის შედეგად, თუ მთლიანად მრეწველობაში 1913 წლის დონე 1940 წელს გადაჭარბებულ იქნა 12-ჯერ, მანქანათმშენებლობაში ეს დონე უკვე 1938 წელს გადაჭარბებულ იქნა 30-ჯერ და უფრო მეტად, ელექტროენერგიის გამომუშავებაში—20-ჯერ და უფრო მეტად, ქიმიური პროდუქტების წარმოებაში—თითქმის 15-ჯერ და სხვ.

მძიმე ინდუსტრიის განვითარების ასეთმა უმაგალითო მაღალმა ტემპებმა უზრუნველჰყოს სსრ კავშირში იმ მატერიალურ შესაძლებლობათა შექმნა, რომლებიც საჭიროა ომის საწარმოებლად. მრეწველობის დარგში ეს მატერიალური შესაძლებლობანი, უწინარეს ყოვლისა, განისაზღვრებიან ლითონისა და სათბობის წარმოების დონით. 1940 წელს საბჭოთა კავშირში გამოდნობილი იყო 15 მილიონი ტონა თუჯი, ე. ი. თითქმის ოთხჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს, და 18,3 მილიონი ტონა ფოლადი—ოთხნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს. ქვანახშირი 1940 წელს მოპოვებული იყო 166 მილიონი ტონა, ე. ი. ხუთნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს, და ნავთი 31 მილიონი ტონა—სამნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს.

მძლავრი, ყოველმხრივ განვითარებული მძიმე ინდუსტრიის მეოხებით ჩვენ მოვიპოვეთ გამარჯვება მტერზე დიდი სამამულო ომის წლებში. მძიმე მრეწველობა იყო სსრ კავშირის სამხედრო მეურნეობის საფუძველი. მან უზრუნველჰყო ჩვენი მამაცი წითელი არმია პირველხარისხოვანი საჭურვლითა და საომარი მასალით.

საბჭოთა კავშირმა ძლევამოსილად დაამთავრა დიდი სამამულო ომი და შევიდა მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის პერიოდში. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანმა გეგმამ საბჭოთა ხალხის წინაშე ახალი გრანდიოზული პერსპექტივები გადაშალა. ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები იმაში მდგომარეობენ, რომ აღვადგინოთ ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღვადგინოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ ამ დონეს მნიშვნელოვანწილად გადავაჭარბოთ.

ამ უდიდესი, ჭეშმარიტად ისტორიული ამოცანის გადაჭრაში მძიმე ინდუსტრიას წამყვანი, გადამწყვეტი როლი ეკუთვნის. ეს გასაგებიც არის. იმისათვის, რომ აღვადგინოთ ათობით ქალაქი და ათასობით ქარხანა და ფაბრიკა, რომლებიც საზიზღარმა მტერმა დაანგრია; იმისათვის, რომ ჩვენს ტრანსპორტს მივცეთ ორთქლმავლების, ვაგონების, ელექტრომავლების, რელსების, ავტომობილების, გემების, სათბობისა და სხვ. საჭირო რაოდენობა; იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობა საკმაოდ შევაიარაღოთ ტრაქტორებით, კომბაინებით, სხვადასხვა სახის იარაღ-მანქანებით, ქიმიური სასუქებით, ნავთითა და მაზუთით; იმისათვის, რომ მნიშვნელოვნად გავაფართოოთ მსუბუქი და კვების ინდუსტრიის საწარმოო სიმძლავრენი და გარდავქმნათ ისინი ახალ ტექნიკურ საფუძველზე,—იმისათვის, რომ გადავჭრათ ყველა ეს და ბევრი სხვა ამოცანა, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა განვავითაროთ მძიმე ინდუსტრია: მეტალურგია, სათბობი, ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ქიმია და სხვ. ამიტომ კანონი ახალი ხუთწლედის გეგმის შესახებ წინადადებას იძლევა „უზრუნველვყოთ **პირველ რიგში მძიმე მრეწველობისა და რკინიგზის ტრანსპორტის აღდგენა და განვითარება**, ურომლისოდაც შეუძლებელია სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის სწრაფი და წარმატებითი აღდგენა და განვითარება".

ხუთწლიანი გეგმის ამ, ერთ-ერთი ძირითადი მიზანდასახულობის შესაბამისად, კანონი აწესებს მძიმე ინდუსტრიის მთელი დარგების ზრდის მეტად მაღალ ტემპებს. გაფართოებული წარმოების განსაკუთრებით მაღალი ტემპები, რომლებიც პირველი სამი სტალინური ხუთწლედის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მკაფიო დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდნენ, დამახასიათებელია ახალი სტალინური ხუთწლედისთვისაც.

მაგალითად, ლითონის წარმოება 1950 წელს ომამდელ დონეს გადააჭარბებს 35 პროცენტით, ქვანახშირის მოპოვება—51 პროცენტით, ტორფის ამოღება—39 პროცენტით, ნავთისა—14 პროცენტით, ელექტროენერგიის გამომუშავება—70 პროცენტით, ფოსფატოვანი სასუქების წარმოება—100 პროცენტით, ცემენტის წარმოება—80 პროცენტით და სხვ. როგორც ამ ციფრებიდან ჩანს, წარმოების ომამდელი დონის აღდგენა მძიმე ინდუსტრიაში დამთავრდება 3-4 წელში. 1950 წელს ჩვენი ქვეყანა მიიღებს 19,5 მილიონ ტონა თუჯს, 25,4 მილიონ ტონა ფოლადს, 17,8 მილიონ ტონა ნაგლინს, 250 მილიონ ტონა ქვანახშირს, 35,4 მილიონ ტონა ნავთს, 82 მილიარდ კილოვატ ელექტროენერგიას, 10,5 მილიონ ტონა ცემენტსა და სხვ.

იმ წამყვანი როლის შესაბამისად, რასაც მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებაში მანქანათმშენებლობა ასრულებს, ამ დარგს ახალ ხუთწლედში ზრდის განსაკუთრებით მაღალი ტემპი ენიჭება. 1950 წელს სხვადასხვა სახის მოწყობილობის გამოშვება, ომამდელთან შედარებით, ერთიორად გადიდდება. ამასთან მანქანათმშენებლობის უმნიშვნელოვანესი სახეები კიდევ უფრო განვითარდება. მეტალურგიული მოწყობილობის წარმოება გადიდდება 3,7-ჯერ, ავტომობილების წარმოება — 3,4-ჯერ, ორთქლმავლებისა—2,4-ჯერ, ტრაქტორებისა—3,6-ჯერ, ელექტრომოწყობილობისა—2,5-ჯერ, საფეიქრო მანქანებისა—4-ჯერ და სხვ.

ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, მსუბუქი და კვების მრეწველობა ახალ ხუთწლედში მიიღებენ მნიშვნელოვნად უფრო მეტ მანქანასა და დაზგას, ვიდრე მეორე ხუთწლედში მიიღეს. ეს შესაძლებლობას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავადიდოთ შრომის ტექნიკური შეიარაღება მთელს სახალხო მეურნეობაში.

ახალი ხუთწლიანი გეგმით დასახული წარმოების ზრდის ტემპები რომ უზრუნველვყოთ, ამისათვის საჭიროა მკვეთრად გადიდდეს საწარმოო სიმძლავრენი. დავალებებს კაპიტალური მშენებლობის დარგში ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ახალ ხუთწლედში აღდგენითი სამუშაოებისა და ახალი კაპიტალური მშენებლობისათვის კოლოსალური სახსრები დაიხარჯება. მარტო მრეწველობაში ხუთწლედის მანძილზე დაბანდებულ იქნება 157,5 მილიარდი მანეთი. შესადარებლად საჭიროა გავიხსენოთ, რომ პირველი ხუთწლედის მანძილზე კაპიტალდაბანდებანი მრეწველობაში 24,8 მილიარდ მანეთს შეადგენდნენ, მეორე ხუთწლედში—58,6 მილიარდ მანეთს.

კაპიტალური მშენებლობის ასეთი გაშლა უზრუნველჰყოფს საწარმოო სიმძლავრეთა მნიშვნელოვან მატებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მაგრამ განსაკუთრებულ დიდ მატებას—მძიმე ინდუსტრიაში. 1946-1950 წლებში, მაგალითად, შავ მეტალურგიაში ამუშავდება 45 ბრძმედი, 165 მარტენის ღუმელი, 15 კონვერტორი, 90 ელექტროღუმელი, 104 საგლინავი დაზგა, 63 საკოქსო ბატარია და სხვ. დონბასში მთლიანად აღდგენილ იქნება 182 ძირითადი ქვანახშირის შახტი და დამატებით აშენდება 60 ახალი შახტი. მოსკოვის მახლობლად არსებულ აუზში ნავარაუდევია აშენდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს 66 ახალი ქვანახშირის შახტი, კუზბასში—30 შახტი, ყარაგანდაში—17 შახტი და ჰრილი, ურალში—49 შახტი და სხვ. ელექტროსადგურების სიმძლავრეები გადიდდება 11,7 მილიონი კილოვატით. დაზგათმშენებელი ქარხნების საწარმოო სიმძლავრეები გადიდდება 94,8 ათასამდე ლითონმჭრელი დაზგით, საავტომობილო ქარხნებისა—750 ათასამდე მანქანით.

დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა მშენებლებმა გვიჩვენეს სამრეწველო საწარმოებისა და რკინიგზების მშენებლობისა და აღდგენის განსაკუთრებული სწრაფი ტემპის მრავალი მაგალითი. დაგროვებულია მშენებლობის სწრაფი მეთოდების უძვირფასესი გამოცდილება. ამჟამად, ახალი კაპიტალური მშენებლობისა და აღდგენითი სამუშაოების უდიდესი გაქანების დროს, საჭიროა მშენებლებმა კიდევ უფრო ჩქარა, იაფად და უკეთ აშენონ. ამას ხელს შეუწყობს ხუთწლედით დასახული სამშენებლო სამუშაოთა ფართო მექანიზაცია, სამშენებლო ინდუსტრიის ყოველმხრივი განვითარება, სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის გაუმჯობესება.

კანონმა ხუთწლიანი გეგმის შესახებ განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნა საჭიროება „უზრუნველვყოთ **შემდგომი ტექნიკური პროგრესი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში**. როგორც წარმოების მძლავრი აღმავლობისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების პირობა, რისთვისაც საჭიროა არა მარტო დავეწიოთ, არამედ უახლოეს დროში კიდევაც გავუსწროთ მეცნიერების მიღწევებს სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ".

ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა შრომის მექანიზაცია და საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია. ხუთწლიან გეგმაში ამ საქმეს დიდი ყურადღება ეძლევა. შავ მეტალურგიაში განგრძობილ იქნება შრომატევადი პროცესების მექანიზაცია საბრძმედე, სამარტენო და საგლინავ საამქროებში. ქვანახშირის მრეწველობაში მექანიზმების პარკი, ომამდელ დროსთან შედარებით, სამ-ოთხჯერ გადიდდება. ჩვენს ელექტროსადგურებში ფართოდ დაინერგება საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია. სამშენებლო მასალების მრეწველობაში ფართო გამოყენებას ჰპოვებენ ელექტრონის ექსკავატორები, დიდტვირთიანი თვითგანმტვირთავი ვაგონეტები, გრეიფერული ამწეები, მაღალნაყოფიერი მბრუნავი ღუმელები კლინკერის გამოსაწვავად და სხვ.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე წარმოების ახალი დარგების ორგანიზაციას და ტექნოლოგიური პროცესის წარმოების ახალი, უფრო გაუმჯობესებული მეთოდების ათვისებას. მაგალითად, შავ მეტალურგიაში სამრეწველო მასშტაბით უნდა იქნას ათვისებული ჟანგბადის ბერვის გამოყენება საბრძმედე და ფოლადსადნობ წარმოებაში. ფართოდ ვითარდება ინდუსტრიის ახალი დარგი—გაზის მრეწველობა. ენერგეტიკოსებმა უნდა აითვისონ მაღალი ძაბვის მუდმივი დენით ელექტროენერგიის გადაცემა დიდ მანძილზე. ქიმიურ მრეწველობაში ეწყობა ორგანული სინთეზის ახალი დარგები ქვანახშირის გადამუშავებისა და ნავთგადამუშავების თანანაწარმი პროდუქტების ბაზაზე.

წარმოების გადამწყვეტი მექანიზაციისა და მოწყობილობის ახალი, გაუმჯობესებული სახეების დანერგვის მეოხებით შრომის ტექნიკური შეიარაღება, 1940 წელთან შედარებით, დაახლოებით ერთნახევარჯერ გადიდდება. ეს დიდად შეგვიწყობს ხელს შევასრულოთ ახალი ხუთწლიანი გეგმის უაღრესად დიდმნიშვნელოვანი დავალება: 1950 წელს 36 პროცენტით გადავაჭარბოთ მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ომამდელ დონეს.

სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრია მუდამ იყო მთელი საბჭოთა სახალხო მეურნეობის საიმედო დასაყრდენი. ეჭვი არ არის, რომ იგი მდგომარეობის სიმაღლეზე აღმოჩნდება აგრეთვე ახალი დიადი სტალინური ხუთწლედის წლებში.

ი. ლოკშინი

სამკურნალო ფიზკულტურა საავადმყოფოებსა და პოლიკლინიკებში

სამამულო ომის დროს პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ სამკურნალო ფიზკულტურის დახმარებით ჩქარდებოდა დაჭრილთა მკურნალობის ვადები. ექიმები მნიშვნელოვან წარმატებას აღწევდნენ ინვალიდობის შემცირებაში. მებრძოლებსა და ოფიცრებს, რომლებიც სამკურნალოდ იმყოფებოდნენ, მალე უბრუნდებოდათ ბრძოლისა და შრომის უნარი.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გაითვალისწინა ეს გამოცდილება და მოკავშირე რესპუბლიკათა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრებს დაავალა ყოველნაირად შეუწყონ ხელი მის შემოღებას სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა პრაქტიკაში. ამ მიზნით ჩვენი ქვეყნის დიდ პოლიკლინიკებში ეწყობა ფიზიკური კულტურის განყოფილებანი: მოსკოვში — 15 პოლიკლინიკასთან, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში — ორ-ორ პოლიკლინიკასთან თვითეულ ქალაქში. დიდ საქალაქო საავადმყოფოებში იხსნება სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტები. სამკურნალო ფიზკულტურა უნდა გამოიყენონ ქალთა კონსულტაციებსა და სამშობიარო სახლებში.

სანატორიუმებისა და კურორტების ექიმები ვალდებული არიან სამკურნალო ფიზკულტურა შეიტანონ ყველა იმ ავადმყოფის მკურნალობის გეგმაში, რომელთათვისაც ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით საჭიროა ესა თუ ის ვარჯიშობა. (საკდესი).

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პლენუმი

სტალინის რაიონი

თბილისის სტალინის რაიონის მშრომლები შეუდგნენ ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლას. ფაბრიკა-ქარხნებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება, რამაც დიდად შეუწყო ხელი მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საწარმოო ამოცანათა წარმატებით გადაჭრას.

რაიონის 30 ძირითადი საწარმოდან ოცმა პროდუქციის გამოშვების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

თბილისის მაუდის ფაბრიკამ პირველი კვარტალის საწარმოო დავალება 100,4 პროცენტით შეასრულა, კალინინის ქარხანამ — 100,9 პროცენტით, ლითონის კონსტრუქციების ქარხანამ—111,4 პროცენტით, სპილენძის საგლინავმა ქარხანამ—125.6 პროცენტით.

თბილისის მაუდის ფაბრიკაში 505 მუშიდან 103 სტახანოველია. აღიზარდნენ სტახანოველთა ახალი კადრები. ახალგაზრდა ფეიქარმა მაყვალა ბარათაშვილმა სახელი გაითქვა თავდადებული შრომით. საქართველოს ფეიქრებს შორის მოწინავე მქსოველის სახელი დაიმსახურა მაუდის ფაბრიკაში მრავალდაზგოსნობის ინიციატორმა ლ. ასათიანმა. ფაბრიკას მრავლად ჰყავს სოციალისტური შრომის ასეთი ენტუზიასტები.

მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშაობა ტრამვაისა და ტროლეიბუსის სამმართველომ. ვაგონების ხაზებზე გაშვების გეგმა 115 პროცენტით არის შესრულებული, ვაგონების რემონტისა —166.9 პროცენტით.

მოწინავე საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად იხილავენ სამეურნეო საკითხებს, სწავლობენ ცალკეულ ნაკლოვანებათა მიზეზებს, მსჯელობენ მასზე და შეუნელებლად ზრუნავენ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის კანონის შესწავლას. საწარმოებსა და დაწესებულებებში ეწყობა ლექციები, მოხსენებები, სააგიტაციო საუბრები. პროპაგანდისტები, აგიტატორები, პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები ღრმად სწავლობენ ახალი ხუთწლედის საკითხებს.

საწარმოთა ნაწილმა პირველი კვარტალი ჩამორჩენით დაამთავრა, რის გამოც საწარმოო გეგმა რაიონის მასშტაბით შესრულებულია მხოლოდ 96,7 პროცენტით. არადამაკმაყოფილებლად იმუშავეს თამბაქოს პირველმა და მეორე ფაბრიკებმა, არტელებმა „წითელმა ისარმა", „ტექნოქიმმა". რაიონის ზოგმა საწარმომ ვერ უზრუნველჰყო სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულება ასორტიმენტის მხრივ. მაგალითად, კალინინის ქარხანამ ვერ შეასრულა საწოლების, სასწორებისა და სხვა პროდუქციის გამოშვების გეგმა. ასეთივე მდგომარეობაა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა და რძის გადამამუშავებელ ქარხნებში. ზოგან საკმაო ყურადღებას არ უთმობენ ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, თვითღირებულების შემცირებას და ნედლეულის დაზოგვას. თამბაქოს პირველ ფაბრიკაში შრომის ნაყოფიერების მხრივ გეგმა შესრულებულია 82,2 პროცენტით, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანაში—96,4 პროცენტით.

საწარმოთა ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ზოგი პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელი არასაკმარისად ზრუნავს შრომის მოწესრიგებაზე, შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე, მუშათა ახალი კადრების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შემოწმებას არ ეძლევა სისტემატური ხასიათი. ნაკლებად ეწყობა სტახანოველთა გამოცდილების გაზიარება. ზოგი პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაცია სუსტად იბრძვის მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

საკითხი მიმდინარე წლის პირველ კვარტალში რაიონის საწარმოთა მუშაობის შესახებ განიხილა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პლენუმმა. მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. ლოლაძემ. მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. გიგაურმა (მაუდის ფაბრიკა), ბერუჩაშვილმა (ტრამვაისა და ტროლეიბუსის სამმართველო), მეშველიანმა (კალინინის სახელობის ქარხანა), ბაბაევამ (თამბაქოს პირველი ფაბრიკა), კვინიკაძემ (სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანა) და სხვებმა.

მეორე საკითხზე — პარტიაში მიღების ანგარიში — პლენუმმა მოისმინა რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგის ამხ. ნ. გვეორქიანის მოხსენება.

ორივე საკითხზე პლენუმმა მიიღო სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნებმა ამხ. ზ. ჩხუბიანიშვილმა და ამხ. ე. ჩერქეზიამ.

26 კომისრის რაიონი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის პლენუმმა, რომელიც ამ დღეებში შესდგა, განიხილა ორი საკითხი:

1. რაიონის საწარმოთა მიერ 1946 წლის პირველი კვარტალის დავალებათა შესრულების შედეგები და პარტიული ორგანიზაციის ამოცანები და 2. პარტიაში მიღების ანგარიში.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. ნ. გაბუნია. მან ილაპარაკა რაიონის მშრომელთა იმ განსაკუთრებულ პოლიტიკურ და საწარმოო აღმავლობაზე, რაც გამოიწვიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა.

შრომის სწორად მოწყობისა და სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად პირველი კვარტალის საწარმოო დავალებანი გადაჭარბებით შეასრულეს ინსტრუმენტალურმა ქარხანამ, წისქვილკომბინატმა, ქაღალდის ფაბრიკამ, ზეთსახდელმა ქარხანამ, პურის მეორე ქარხანამ. პირველ კვარტალში კარგად იმუშავეს აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა — საფერმენტაციო და ტარის ქარხნებმა. მაგრამ წარმატებანი ყველა საწარმოს როდი აქვს. წამყვანმა საწარმოებმა პირველი კვარტალი ჩამორჩენით დაამთავრეს. დიდი ჩამორჩენა ჰქონდათ ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკას (დირექტორი ბუჯიაშვილი), მაკარონის ფაბრიკას (დირექტორი სავანა), საკონდიტრო ფაბრიკას (დირექტორი ცეტიშვილი) და სხვ. ამის შედეგად პირველი კვარტალის საწარმოო დავალება რაიონის საწარმოებმა მხოლოდ 90 პროცენტით შეასრულეს. დაბალია რაიონის მთელი რიგი საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

საწარმოთა ზოგიერთი ხელმძღვანელი ამ ჩამორჩენას ხსნის ნედლეულის უქონლობით, კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობით და სხვა ამგვარი „ობიექტური" მიზეზებით. მაგრამ სინამდვილეში ასე როდია. პლენუმზე აღინიშნა ჩამორჩენის ნამდვილი მიზეზები. მთელ რიგ საწარმოებში სუსტია შრომის ორგანიზაცია, მოდუნებულად მუშაობენ საამქროთა ხელმძღვანელები, ირღვევა შრომის დისციპლინა, მოუგვარებელია მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები და სხვ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკაში გაუარესდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. მაკარონის ფაბრიკამ სამი თვის განმავლობაში მშრომელებს 44 ტონაზე მეტი უმაღლესი ხარისხის მაკარონი და ვერმიშელი დააკლო. პროდუქციის ხარისხისათვის და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლა მივიწყებულია რაიონის მთელ რიგ სხვა საწარმოებსა და არტელებშიც. ინსტრუმენტალურ ქარხანაში გიორგაძისა და რაფაელოვის საამქროებმა 15 აპრილს 15-20 წუთის დაგვიანებით დაიწყეს მუშაობა. საკონდიტრო ფაბრიკაში 22 აპრილს საფუარის დამამზადებელმა უბანმა და შოკოლადის საამქრომ თითქმის ერთი საათით გვიან დაიწყეს მუშაობა. მსგავს შემთხვევებს ადგილი ჰქონდა დიმიტროვის სახელობის ქარხანაში, რის გამო პირველ კვარტალში რაიონის საწარმოებში მოცდენამ რამდენიმე ათას დაზგასაათს გადააჭარბა. ხორცკომბინატში არ არსებობს ტექნიკური წრეები და სტახანოვური სკოლები. ეს იმ დროს, როდესაც აქ მწვავედ განიცდიან კვალიფიციური კადრების ნაკლებობას. ასეთივე მდგომარეობაა ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს II უბანში. მარგარინის ფაბრიკაში, დიმიტროვის სახელობის ქარხნისა და ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მთელ რიგ საამქროებში ტექნიკური სწავლების წრეები არაფერს არ აკეთებენ. ზოგიერთ საწარმოში ადგილი აქვს მუშათა შეუწყნარებელ დენადობას, რაც გამოწვეულია მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით და მშრომელთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შესუსტებით.

პარტიაში მიღების საკითხზე პლენუმმა მოისმინა რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგის ამხ. გურგენიძის მოხსენება.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა ქ. ბუჯიაშვილმა (ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა), ვ. გოგლიძემ (დიმიტროვის სახელობის ქარხანა), თ. სავინამ (მაკარონის ფაბრიკა), ს. ხითარიშვილმა (ინსტრუმენტალური ქარხანა), ტ. არუთინოვამ (ზეთსახდელი ქარხანა), ვ. ხოდელმა (დიმიტროვის სახელობის ქარხანა), ნიკოლაიშვილმა (მშრომელთა დეპუტატების 26 კომისრის რაისაბჭოს აღმასკომი), პ. შორინამ (დიმიტროვის სახელობის ქარხანა) და ნ. ჯაფარიძემ (ვაჟთა 24-ე საშუალო სკოლა).

განხილულ საკითხებზე პლენუმმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

რადიაქტივობის აღმოჩენის 50 წელი

50 წლის წინათ, 1896 წლის აპრილში, რენტგენის სხივების აღმოჩენიდან ერთი წლის შემდეგ, ანრი ბეკერელი, რომელსაც უნდა ვუმადლოდეთ რადიაქტივობის შესანიშნავ აღმოჩენას, იკვლევდა ფოსფორესცენციის (გამოსხივების) მოვლენებს. ამ გამოკვლევების შედეგად მან შენიშნა, რომ ყველაზე მძიმე ელემენტი — ურანი თავისით იძლევა რაღაც უცნაურ გამოსხივებას, რომელიც რენტგენის სხივების მსგავსად მოქმედებს ფოტოფირფიტაზე და იჩენს დიდ შეღწევადობას. ურანის ეს სხივები არ იცვლებიან არც განათების, არც სითბოს, არც სიცივის მოქმედებისას. ეს სხივები ერთნაირია დღისითაც და ღამითაც, მათზე არავითარი გარეგანი მოქმედება არ ახდენს რაიმე გავლენას.

ამ უცნაური გამოსხივების შემდგომი გამოკვლევა განაგრძეს პიერ და მარიამ კიურიმ, რომლებმაც გამოსთქვეს აზრი, რომ ურანის ატომები ასეთი გამოსხივების შემდეგ უთუოდ უნდა შეიცვალონ. ეს აზრი ბრწყინვალედ დადასტურდა.

მარიამ კიურიმ გამოიკვლია მრავალი ელემენტის გამოსხივების უნარი და დაადგინა, რომ ასეთსავე გამოსხივებას იძლევა მეტალი თორიუმი. გამოსხივების ამ უნარს, რომელიც ატომის შესანიშნავ თვისებას წარმოადგენს, მ. კიურიმ რადიაქტივობა უწოდა.

ურანის ნაერთების შესწავლისას მ. კიურიმ მეტად საინტერესო დაკვირვება მოახდინა: მან დაადგინა, რომ ურანის მინერალები გაცილებით მეტად ასხივებენ, ვიდრე მისი ნაერთები. აქედან მეტად საგულისხმო დასკვნა გამომდინარეობდა, რომ ურანის მინერალები ძლიერ რადიაქტიურ ელემენტს შეიცავენ. თავის მეუღლესთან ერთად მ. კიური შეუდგა ამ უცნობი ელემენტის ძებნას. მათი რთული და დაუღალავი კვლევა-ძიება ტრიუმფით დამთავრდა: აღმოჩენილ იქნა ახალი უცნობი ელემენტი, რომელსაც მ. კიურიმ თავისი სამშობლოს პატივსაცემად პოლონიუმი დაარქვა. ამის შემდეგ მეცნიერებმა მიაგნეს კიდევ ერთ ახალ, მანამდე უცნობ ელემენტს, რომელსაც უწოდეს რადიუმი (სხივოსანი). ეს მართლაც არაჩვეულებრივი თვისებების მატარებელი ელემენტია, რომლის რადიაქტივობა ხუთ მილიონჯერ აღემატება ურანის რადიაქტივობას.

დღეს არც ერთი ქიმიური რეაქცია ისე კარგად და დაწვრილებით არ არის შესწავლილი, როგორც რადიაქტიური პროცესი. მრავალი გამოკვლევის შედეგად ამჟამად ცნობილია, რომ რადიაქტიური გამოსხივება სამი სხვადასხვაგვარი სხივისაგან შესდგება. მათ ეწოდებათ ალფა, ბეტა და გამა სხივები. ეს სხივები გამოიტყორცნებიან ატომის სიღრმიდან, ატომგულიდან, რომელიც ატომის ცენტრშია მოთავსებული. ალფა-სხივი შესდგება ალფა-წილაკებისაგან, რომლებიც დადებითად არიან დამუხტული. ისინი არსებითად ჰელიუმის ატომგულს წარმოადგენენ და რადიაქტიური ელემენტის ატომგულიდან დიდი სიჩქარით გამოიტყორცნებიან. ბეტა-სხივები ელექტრონთა ნაკადია, ხოლო გამა-სხივები პრინციპულად არ განსხვავდებიან რენტგენის სხივებისაგან.

ძირითადად ამ გამოსხივების უნარით აიხსნება რადიუმის პრაქტიკული მნიშვნელობა. განუკურნებელი სენით დაავადებულნი მისგან მოელიან გაჯანსაღებას.

რადიუმი თავის წონასთან შედარემენტია. იგი გამუდმებით ასხივებს შესანიშნავი თვისებების სხივებს, სიბნელეში თავისით ანათებს, ძლიერ მოქმედებს ფოტოფირფიტაზე, აღძრავს მრავალ ქიმიურ რეაქციას, გამუდმებით გამოჰყოფს სითბოს, რომელიც 50.000-ჯერ აღემატება იმავე წონის ნახშირის წვის სითბოს. ადვილი წარმოსადგენია, რა მომხიბლავი ამოცანა იყო რადიაქტივობის მიზეზის ამოცნობა.

რადიუმი თავის წონასთან შედარებით გიგანტური სიდიდის ენერგიას გამოჰყოფს. პირველი შეხედვით იგი წარმოადგენს ენერგიის დაუშრეტელ წყაროს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ენერგია თავისით იქმნება. მისი წარმოშობის მიზეზებისას მოხერხდა ატომის სიღრმეში ჩახედვა და ბუნების მრავალი საიდუმლოს ამოცნობა.

მეცნიერებამ დაადგინა, რომ ატომი რთული სისტემაა. მის ცენტრში მოთავსებულია დადებითად დამუხტული ატომგული, რომელიც ატომის თითქმის მთელ მასას შეიცავს. ატომგულის ირგვლივ ბრუნავენ მსუბუქი, მეტად მცირე ზომის უარყოფითად დამუხტული ნაწილაკები — ელექტრონები. როდესაც ატომგულიდან ალფა-წილაკი გამოიტყორცნება, მცირდება ატომის მასა და მუხტი, ხოლო ბეტა-წილაკის ატომგულიდან გამოტყორცნისას ატომგულის მუხტი იზრდება. ატომგულის მუხტი აპირობებს ელემენტის ინდივიდუალობას. ალფა ან ბეტა გამოსხივების შედეგად ელემენტი იცვლება, გარდაიქმნება, წარმოიშობა ახალი რადიაქტიური ელემენტი, რომელიც აგრეთვე ასხივებს ან ალფა ან ბეტა-წილაკს და ამის შედეგად იბადებიან ახალი ელემენტები. ისინი წარმოშობენ ელემენტების მრავალთაობიან ოჯახს. ამჟამად ცნობილია რადიაქტიური ელემენტების რამდენიმე ოჯახი. მათი ერთ-ერთი მამამთავარია ურანი, ხოლო უკანასკნელი ელემენტი, რომელიც აღარ იძლევა შთამომავლობას, არის ტყვია. ყველა თაობის ელემენტების სიცოცხლის ხანგრძლივობა ზუსტადაა დადგენილი. ამიტომ ტყვიის რაოდენობის მიხედვით, რომელიც თანდათან გროვდება, მაგალითად, ურანის მადანში, ადვილია გამოვიცნოთ დედამიწის ასაკი. რადიოელემენტები მსოფლიოს საათს წარმოადგენენ, რომელიც არ მოითხოვს მომართვას, მუშაობს თავისით და ზუსტად ზომავს დროის მიმდინარეობას.

ამრიგად, რადიოელემენტი იშლება, თავისით გარდაიქმნება და ახალ ელემენტებს წარმოშობს. ეს დაშლა დაკავშირებულია უდიდესი ენერგიის გამოყოფასთან, რომელიც, როგორც გამოირკვა, ატომის ენერგიას წარმოადგენს. რადიაქტიური დაშლისას ელემენტის ატომური ენერგია მცირდება.

ჩვეულებრივი ელემენტების ატომგულების ალფა-წილაკებით დაბომბვისას შესაძლო გახდა მრავალი ელემენტის გარდაქმნა. ამის შედეგად გარკვეულ პირობებში ხელოვნური ელემენტები მიიღება. ამჟამად შესწავლილია ექვსასამდე ატომგულური გარდაქმნა, რომელთა მიმდინარეობა დაკავშირებულია ენერგიის უდიდესი მარაგის გამოყოფასთან. ატომგულური რეაქციებიდან მეტად საყურადღებოა ზოგიერთი გარდაქმნა. მათი დახმარებით შესაძლო გახდა დედამიწაზე არარსებული ელემენტების მომზადება. მიღებულია ხელოვნური გზით 350 ახალი რადიაქტიური ელემენტი, რომელთა მეშვეობით შესაძლო შეიქნა მრავალი ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური პროცესის გამოკვლევა.

ურანის ხელოვნური გარდაქმნით შესაძლებელია მენდელეევის სისტემის გაგრძელება. მიღებულია ელემენტები ნეპტუნიუმი და პლუტონიუმი. ამ უკანასკნელს აქვს ისეთივე „ფეთქებადი" უნარი, როგორც 235 წონიან ურანს. ამიტომ იგი ატომური ბომბის გასაკეთებლად გამოიყენება.

ორმა ახალგაზრდა საბჭოთა ფიზიკოსმა პეტრჟაკმა და ფლეროვმა აღმოაჩინეს ურანის ახალი ტიპის დაშლა. ამის შედეგად ნათელი გახდა მძიმე ელემენტების ატომგულების უმდგრადობის საკითხი.

რამდენიმე ხნის წინ საბოლოოდ გამოირკვა, თუ როგორია ვარსკვლავებისა და მათ შორის მზის ენერგიის წყარო. ენერგიის ეს დაუშრეტელი წყარო ატომის ენერგია აღმოჩნდა, რომელიც თავისუფლდება არა ურანის ან პლუტონიუმის დაშლით, არამედ წყალბადიდან ჰელიუმის მიღებისას.

ჩვენი ეპოქა დიდ აღმოჩენათა და ბუნების ძალების უმაგალითო მასშტაბებით დამორჩილების ეპოქაა. დღეს ცენტრალურ პრობლემას ატომის ენერგია წარმოადგენს. მისი განთავისუფლება ჯერჯერობით რთულ ტექნიკას მოითხოვს. რადგან ატომის ენერგიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მეცნიერება ახლო მომავალში შესძლებს უფრო ადვილად მისაწვდომი ელემენტებიდან უფრო მარტივი გზით მიიღოს იგი და ხალხის საკეთილდღეოდ გამოიყენოს.

რადიაქტივობის საიდუმლოების ამოხსნამ გარდაქმნა ძველი მოძღვრება ნივთიერების აღნაგობის შესახებ. მან შესცვალა მეცნიერების შეხედულებანი ბუნების მოვლენებზე, ელემენტების წარმოშობასა და ატომის აღნაგობაზე. რადიაქტივობის შესწავლამ გადაგვიშალა ფართო პერსპექტივები, რომელთა შესახებ წინათ მეცნიერება ოცნებასაც კი ვერ ბედავდა.

დიდი სამამულო ომის დროს ჩვენში მრავალი პრაქტიკული ხასიათის პრობლემა გადაწყდა. მაგრამ მეტი გამოცდილება გვჭირდება ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის. ჩვენი მეცნიერები, აღფრთოვანებულნი დიდი სტალინის წინასაარჩევნო სიტყვით, გააძლიერებენ თავიანთ შემოქმედებითს მუშაობას, რათა წინ წასწიონ ტექნიკა, განავითარონ მეცნიერება, მიაღწიონ მის უმაღლეს მწვერვალებს.

პროფესორი ვ. კოკოჩაშვილი

დიდი საზღვაო ატლასი

ლენინგრადი, 23 აპრილი (საქტესი). დაიბეჭდა პირველი რუკები „საზღვაო ატლასისა", რომლის შედგენაშიც მონაწილეობას იღებს ჩვენი ქვეყნის 20-ზე მეტი სამეცნიერო დაწესებულება.

ატლასი სამ ტომს შეიცავს.

ამჟამად დაბეჭდილია მეორე ტომის პირველი რუკები, რომელთა დანიშნულებაა მოგვცენ ოკეანეთა, ზღვათა, ცალკეულ რაიონთა და ნავსადგურთა დახასიათება, აგრეთვე სანავიგაციო-გეოგრაფიული ხასიათის ძირითადი საცნობარო მასალები. მეორე ტომის რუკები, კერძოდ, მიძღვნილია საბჭოთა არქტიკის ზღვებისადმი, ატლანტის ოკეანის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილისადმი, შავი, კასპიის და სხვა ზღვებისადმი.

ახალი საწარმოო მიღწევებით შევხვდეთ პირველ და ცხრა მაისს!

მეოთხე ხუთწლედის სტახანოველები

ჭიათურის მარგანეცის მაღაროებს ბევრი სახელმოხვეჭილი სტახანოველი ჰყავს. ისინი თავდადებულად მუშაობენ, რათა ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ ყველა ქვეყნის მშრომელთა საბრძოლო ძალების დათვალიერების დღეს—პირველ მაისს და გამარჯვების დღესასწაულს—9 მაისს.

ლენინის სახელობის მაღაროში, რომელიც ნიკოპოლის მარგანეცის ტრესტის მაქსიმოვის სახელობის მაღაროს ეჯიბრება, სახელი გაითქვა მეხუთე უბნის კოლექტივმა. მას დემობილიზებული უ. მაჭავარიანი ხელმძღვანელობს. უბანი 115 და მეტი პროცენტით ასრულებს დავალებას. აქ აპრილის ორ დეკადაში გეგმის გადამეტებით რამდენიმე ასეული ტონა მარგანეცი გამოიღეს. უბნის კოლექტივს ხელთ უპყრია მაღაროს გარდამავალი წითელი დროშა, რაც მან თავდადებული შრომით მოიპოვა. მოწინავე ამწმენდი ი. ბიწაძე, რომელიც ნიკოპოლელ ამხ. რემუკასთან არის ჩაბმული შეჯიბრებაში, დავალებას 200-250 პროცენტით ასრულებს.

სტალინის სახელობის მაღაროში დაწინაურდნენ ის უბნები, რომლებსაც ბ. სამხარაძე და ე. გაფრინდაშვილი ხელმძღვანელობენ. ამ უკანასკნელმა სტახანოველთა შეკრებაზე მაღაროს გარდამავალი წითელი დროშა მიიღო. უბნის კოლექტივმა ამ ჯილდოს მუშაობის გაძლიერებით უპასუხა. ახლა უბანი სადღეღამისო დავალებას 110 და მეტი პროცენტით ასრულებს. მაღაროს წარჩინებულმა ადამიანებმა ს. ოთინაშვილმა და ა. ძინძიბაძემ აპრილის ორ დეკადაში დიდი გადაჭარბებით შეასრულეს თვიური დავალება და ახლა გეგმის გადამეტებით იძლევიან მარგანეცს.

მოწინავეა ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივი. აქ ყველას უსწრებს უბანი, რომელსაც შ. გაფრინდაშვილი ხელმძღვანელობს. უბნის კოლექტივმა უკვე შეასრულა ოთხი თვის დავალება. საწარმოო გეგმებს ორმაგად ასრულებენ რ. გურული, ლ. ბრეგვაძე, ს. კეკენაძე და სხვ. მაღაროს სახელგანთქმულმა სტახანოველმა პავლე მიროტაძემ უკვე რვა თვის დავალება შეასრულა და იკისრა წლიური გეგმა ხუთ თვეში გაანაღდოს.

პ. ჭიოკაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

აპრილი ქუთაისის საწარმოებში

ქუთაისის საწარმოთა კოლექტივებს შორის აპრილის 20 დღეში საგრძნობლად დაწინაურდა კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა. ორი დეკადის საწარმოო გეგმა აქ 108 პროცენტით არის შესრულებული. გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. მოწინავეთა რიგებს 50 ახალი სტახანოველი შეემატა. მათ შორის გამოირჩევიან მკერავები თ. ყურაშვილი, ნ. მეტრეველი, ზ. ხარაბაძე, ქ. მხეიძე და სხვები, რომლებიც ყოველდღიურ გეგმებს 180-220 პროცენტით ანაღდებენ.

კვლავ მოწინავე საწარმოთა წყებაშია რიონჰესის კოლექტივი. რიონჰესმა აპრილის 23 დღის გეგმა 106,1 პროცენტით შეასრულა. სტახანოველი ენერგეტიკოსები ნ. დოლიძე, გ. მელნიკოვი, ბ. ელენტი, ი. ძიძიგური და სხვები დადგნენ საპირველმაისო ვახტზე და ნაკისრი ვალდებულება ერთიორად გაანაღდეს.

წარმატებით მუშაობს ტყავფეხსაცმლის კომბინატი, რომელმაც აპრილის ორი დეკადის გეგმა 101 პროცენტით შეასრულა. დაწინაურდა ამ კომბინატთან ჩამოყალიბებული ფართო მოხმარების საქონლის საამქრო (უფროსი პ. გიგაშვილი). საამქრომ გეგმის გადამეტებით ორ დეკადაში 1.700 წყვილი ფეხსაცმელი გამოუშვა.

გ. მეპისაშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

მეელმავლეები მოწინავეთა რიგებში

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს თბილისის საელმავლო დეპოს კოლექტივი წარმატებით ასრულებს. დეპოელებმა პირველ კვარტალში მიმდინარე შეკეთებიდან გეგმის გადამეტებით 8 ელმავალი გამოუშვეს და 15.760 მანეთის სათადარიგო ნაწილები დაამზადეს. უკეთესი მაჩვენებლები აქვთ აპრილში.

შესამჩნევად გააძლიერა მუშაობა და ყველას გაუსწრო მიმდინარე შეკეთების საამქრომ, რომელმაც აპრილის პირველი დეკადის დავალება 210 პროცენტით შეასრულა.

კარგი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვა ელექტრომონტიორმა პ. ცაცანაშვილმა, რომელიც დღიურ დავალებებს 460-500 პროცენტით ასრულებს. დღეში 3-5 ნორმას იძლევიან აგრეთვე ელექტროღუზების გადამხვევი დ. მარმარაშვილი, მეაკუმულიატორე ქ. ჩიკვაიძე, ხარატი ქ. გვენცაძე, ელექტროშემდუღებელი ა. გურგენიძე და სხვ.

ელმავალმა, რომელზეც ა. ვაშაკიძის კომკავშირული ბრიგადა მუშაობს, თებერვალში მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის „საბჭოთა კავშირში საუკეთესო ელმავლის" სახელწოდება მოიპოვა. საკავშირო პირველობა მოიპოვა აგრეთვე თბილის-ბორჯომის ხაზზე მომუშავე ელექტრომატარებელმა, რომელსაც მემანქანეები ა. ტაბატაძე და ქ. ხუბულური მართავენ.

გეგმების შესრულებაში თბილისის საელმავლო დეპოს თვალსაჩინო დახმარებას უწევენ ქარელის რაიონის მშრომლები და თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები, რომლებსაც შეფობა აქვთ აღებული თითო ელმავალზე.

ქარელის რაიონის მშრომელთა საშეფო ელმავალმა „ვლ-22-147" (უფროსი მემანქანე გ. კარსელიშვილი) გეგმით გათვალისწინებული 100 ათასი კილომეტრის ნაცვლად შეუკეთებლად 288 კილომეტრი გაიარა და სახელმწიფოს რამდენიმე ათეული ათასი მანეთი ეკონომია მისცა. ამ ელმავლის საშუალო შეკეთებისათვის საჭირო სახსრები ქარელელებმა გაიღეს. მეელმავლეებმა მისი შეკეთება 18 დღის ნაცვლად ხუთმეტნახევარ დღეში მაღალხარისხოვნად შეასრულეს.

ასევე მნიშვნელოვან დახმარებას უწევს მეელმავლეებს თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორ-პედაგოგთა და სტუდენტთა კოლექტივიც.

თბილისელი მეელმავლეები მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულთან—1 მაისთან და გამარჯვების დღესთან დაკავშირებით ძვირფას საჩუქრებს უმზადებენ დედა-სამშობლოს.

ქ. მაღლიშვილი

დროშები და პრემიები დამზადებათა გეგმების შესრულებისათვის

საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულის სამმართველოსთან არსებულმა ჟიურიმ განიხილა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა 1946 წლის პირველი კვარტალის გეგმების შესრულების შედეგები და შეჯიბრებაში გამარჯვებულად სცნო სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულთა სამმართველოები:

აჭარის ასს რესპუბლიკაში (რწმუნებული ამხ. ხაზარაძე). სამმართველოს მიეკუთვნა პირველი პრემია და დარჩა საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულის სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც მას მიკუთვნებული ჰქონდა 1945 წლის მეოთხე კვარტალის დამზადებათა გეგმების წარმატებით შესრულებისათვის;

თეთრი წყაროს რაიონში (რწმუნებული ამხ. ლონდარიძე). სამმართველოს მიეკუთვნა პირველი პრემია და საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულის სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშა. დროშა გადაეცა ლაგოდეხის რაიონში სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულის სამმართველოსაგან.

რესპუბლიკაში მეორე ადგილი დაიკავეს სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულთა სამმართველოებმა:

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში (რწმუნებული ამხ. ოტირბა), **თელავის რაიონში** (რწმუნებული ამხ. პაპუნაშვილი), **თბილისის რაიონში** (რწმუნებული ამხ. მძევაშვილი).

ამ სამმართველოებს მიეკუთვნათ მეორე პრემია.

რესპუბლიკაში მესამე ადგილი დაიკავეს სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულთა სამმართველოებმა:

გორის რაიონში (რწმუნებული ამხ. ქინქლაძე), **ზუგდიდის რაიონში** (რწმუნებული ამხ. კაკალია) და **მახარაძის რაიონში** (რწმუნებული ამხ. ღლონტი).

ამ სამმართველოებს მიეკუთვნათ მესამე პრემია.

ჟიურიმ აღნიშნა კარგი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების 1946 წლის პირველი კვარტალის დამზადებათა გეგმების შესრულებაში სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს სამმართველოებისა წითელწყაროს (რწმუნებული ამხ. ბასილაშვილი), ხაშურის (რწმუნებული ამხ. გოგალაძე), წალკის (რწმუნებული ამხ. შეირანოვი), ბაშკიჩეთის (რწმუნებული ამხ. ნოდია), ქარელის (რწმუნებული ამხ. ლურსმანიშვილი), თიანეთის (რწმუნებული ამხ. ბუწანკალაური), აბაშის (რწმუნებული ამხ. ქუცია), მცხეთის (რწმუნებული ამხ. დარჯანია), გალის (რწმუნებული ამხ. შენგელია), ქუთაისის (რწმუნებული ამხ. ბოჭორიშვილი), ყარაიის (რწმუნებული ამხ. დემირჩოღლიანი), გულრიფშის (რწმუნებული ამხ. ბარქაია), ახალციხის (რწმუნებული ამხ. ფრანგიშვილი), წყალტუბოს (რწმუნებული ამხ. საკანდელიძე), გურჯაანის (რწმუნებული ამხ. ფეიქრიშვილი), სამტრედიის (რწმუნებული ამხ. ტორონჯაძე), ხულოს (რწმუნებული ამხ. წილოსანი), ორჯონიკიძის (რწმუნებული ამხ. ბოგვერაძე), საჩხერის (რწმუნებული ამხ. აბესაძე), ლანჩხუთის (რწმუნებული ამხ. ვასაძე), მაიაკოვსკის (რწმუნებული ამხ. ქარჩხაძე), ჭიათურის (რწმუნებული ამხ. ლომიძე), ბათუმის (რწმუნებული ამხ. ანდღულაძე), წალენჯიხის (რწმუნებული ამხ. კონჯარია), ჩოხატაურის (რწმუნებული ამხ. სიხარულიძე), სოხუმის (რწმუნებული ამხ. ხვიტია), ჩხარის (რწმუნებული ამხ. დადუნაშვილი), წულუკიძის (რწმუნებული ამხ. კაკაბაძე), ფოთის (რწმუნებული ამხ. გუგუშვილი), სიღნაღის (რწმუნებული ამხ. მორჩაძე), ბოგდანოვკის (რწმუნებული ამხ. კოტოიანი), ბორჩალოს (რწმუნებული ამხ. ხუდადიანი), ლაგოდეხის (რწმუნებული ამხ. მესხიშვილი), ოჩამჩირის (რწმუნებული ამხ. ხარჩილავა), ზესტაფონის (რწმუნებული ამხ. ხაჟომია), ცაგერის (რწმუნებული ამხ. ფანჯარაძე), ვანის (რწმუნებული ამხ. მესხი), ჩხოროწყუს (რწმუნებული ამხ. ქებურია), ქედის (რწმუნებული ამხ. ცინცაძე) რაიონებში.

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

23 აპრილის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 23 აპრილი. (საქტასი). ტრიბუნალის 23 აპრილის საღამოს სხდომის დაწყებისას ტრიბუნალის თავმჯდომარემ ლოურენსმა გამოაქვეყნა ცნობა ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი მოსამართლის სტოუნის სიკვდილის შესახებ და მოკლე სიტყვით ტრიბუნალის სამძიმარი გამოსთქვა ამის გამო.

შემდეგ სტოუნის ხსოვნისადმი მიძღვნილი მოკლე განცხადება გააკეთა მთავარმა ბრალმდებელმა ამერიკის შეერთებული შტატებისაგან ჯექსონმა.

ამის შემდეგ ტრიბუნალის თავმჯდომარემ ბრალდების საბჭოთა წარმომადგენელს სმირნოვს სთხოვა განეგრძო მოწმე ბიულერის ჯვარედინი დაკითხვა, რაც მან დილის სხდომაზე დაიწყო. ამხ. სმირნოვი ტრიბუნალის ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ ბრალდებულ ფრანკის დამცველ ადვოკატ ზაიდლის მიერ მოწმე ბიულერის დაკითხვისას მოწმემ ნაყალბევი უწოდა დოკუმენტს, რომელიც წარმოადგენს პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობის მოხსენების ოფიციალურ დანართს. ეს დოკუმენტი შეიცავს ცნობებს, თუ რა ზარალი ნახა გერმანული ოკუპაციის დროს პოლონეთის რესპუბლიკამ კულტურულ ღირებულებათა დარგში. ბრალდების საბჭოთა წარმომადგენელს, სთქვა ამხ. სმირნოვმა, შესაძლოდ არ მიაჩნიათ პოლემიკა გამართონ ამის თაობაზე, მაგრამ სთხოვენ ტრიბუნალს ყურადღება მიაქციოს იმას, რომ ეს დოკუმენტი პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობის მოხსენების ოფიციალურ დანართს წარმოადგენს, და მოწმის განცხადება მათ ცილისმწამებლურად მიაჩნიათ.

იმის დაზუსტების შემდეგ, თუ რას წარმოადგენს ეს ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც თავის დროზე ტრიბუნალს წარუდგინეს ბრალდების საბჭოთა წარმომადგენლებმა, თავმჯდომარე ლოურენსი აცხადებს, რომ ტრიბუნალი განიხილავს დოკუმენტს.

განაგრძობს რა ბრალდებულ ბიულერის დაკითხვას, ბრალდების საბჭოთა წარმომადგენელი გადადის იმ საკითხზე, რომ „საგენერალგუბერნატოროს" გერმანულ ადმინისტრაციას უმჭიდროესი კავშირი ჰქონდა საიდუმლო პოლიციასთან. ამის დამამტკიცებელი საბუთი იყო პოლიციის ხელმძღვანელთა მონაწილეობა ჰიტლერულ გენერალ-გუბერნატორთან შემდგარ ყოველ სხდომაზე. ბრალმდებელი ეკითხება, ხომ არ იმართებოდა გენერალ-გუბერნატორთან სხდომები მხოლოდმხოლოდ პოლიციის საკითხებზე. ბიულერი ალიარებს, რომ დროდადრო ასეთი სხდომები იმართებოდა.

ჩერდება რა მოწმე ბიულერის განცხადებაზე, რომ მძევლობის მეთოდს თითქოს არ იწონებდა არც იგი და არც ბრალდებული ფრანკი, ბრალმდებელი ამხ. სმირნოვი აქვეყნებს სხვა ციტატს ბრალდების მიერ წარდგენილი დოკუმენტიდან. „გენერალ-გუბერნატორი, — ნათქვამია ციტატში, — მადლობას უცხადებს სს-ის ობერგრუპენფიურერ კოპეს მისი ნაყოფიერი მუშაობისათვის და კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საგენერალგუბერნატოროს პოლიციის სათავეში უდგას უდიდესი სპეციალისტი. გენერალ-გუბერნატორი ალუთქვამს სს-ის ობერგრუპენფიურერ კოპეს საგენერალგუბერნატოროს ყველა უწყების თანამშრომლობას და წარმატებას უსურვებს მას მუშაობაში".

ბრალმდებელი კითხულობს კიდევ ერთ დოკუმენტს, რომელიც მოწმობს, რომ ბრალდებულმა ფრანკმა განკარგულება გასცა დაეხვრიტათ მამრობითი სქესის თითო მცხოვრები ყოველი სახლიდან, რომელზეც გაკრული იქნებოდა პოლონეთის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი პლაკატი.

განაგრძობს რა დაკითხვას, ამხ. სმირნოვი ერთხელ კიდევ ამხილებს მოწმე ბიულერს ყალბი ჩვენების მიცემაში. უპასუხა რა დამცველის შეკითხვებზე, მოწმე ამტკიცებდა, თითქოს პოლონეთში გერმანული ოკუპაციის დროს შიმშილი არ ყოფილიყოს. მაშინ ამხ. სმირნოვმა ტრიბუნალს წარუდგინა ჩანაწერი სტატს-მდივან დოქტორ ბიულერის გამოსვლისა 1943 წლის 31 მაისის სხდომაზე კრაკოვში. ბრალმდებელს მოჰყავს ციტატი ამ დოკუმენტიდან, რომელშიც ნათქვამია, რომ არაგერმანული ეროვნების პირთათვის დაწესებული სასურსათო პროდუქტების ნორმები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დატოვებულ იქნას მოსახლეობისათვის, ისე რომ მოსახლეობის აჯანყება არ გამოიწვიოს და რომ სიძნელენი სასურსათო მომარაგების საქმეში გავლენას ახდენენ სამოქალაქო წესრიგზე და ჩავარდნილი მოსახლეობის განწყობილებაზე.

მოწმის ჯვარედინი დაკითხვის დასკვნით ნაწილს ბრალდების საბჭოთა წარმომადგენელი უძღვნის ფრანკის „საქმიანობას" პოლონეთში უნივერსიტეტებისა და სკოლების დახურვის დარგში, ვარშავაში სამეფო ციხე-დარბაზის დანგრევას, იძულებითს ზომებს ჰიტლერელების მიერ მუშახელის „შეგროვების" დროს.

ბრალდებულ ფრანკის დამცველი ადვოკატი ზაიდლი მოწმეს აძლევს მთელ რიგ დამატებით შეკითხვებს, რომლებითაც ცდილობს გაამართლოს თავისი მარწმუნებელი. ამის შემდეგ მოწმე გაჰყავთ სხდომათა დარბაზიდან, და დამცველი ზაიდლი იწყებს დოკუმენტების წარდგენას თავისი მარწმუნებლის საქმეზე.

ამით მთავრდება ტრიბუნალის საღამოს სხდომა.

24 აპრილის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 24 აპრილი. (საქტასი). ტრიბუნალის 24 აპრილის დილის სხდომაზე ბრალდებულ ფრანკის დამცველი ადვოკატი ზაიდლი განაგრძობდა დოკუმენტების წარდგენას თავისი მარწმუნებლის საქმეზე. დამცველმა გამოაქვეყნა ნაწყვეტები ფრანკის დღიურისა, რომელსაც ბრალდებული აწარმოებდა გერმანელების მიერ ოკუპირებული პოლონეთის ტერიტორიის გენერალ-გუბერნატორად ყოფნის დროს. ეს დღიური, რომლის ჩანაწერთა სისწორეც ფრანკმა ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების დროს დაადასტურა, ბრალდებას არაერთხელ გამოუყენებია როგორც ფრანკის დანაშაულებრივი საქმიანობის დამამტკიცებელი საბუთი. დღიურის ათეული ტომების ათასობით გვერდი შეიცავს ფრანკის მიერ გამოთქმულ აზრებს, რომლებიც შემაძრწუნებელია თავისი ცინიზმით და რომლებიც შეეხება პოლონელების, უკრაინელებისა და ებრაელების დევნასა და მოსპობას, აგრეთვე ჰიტლერულების მიერ პოლონეთის გაძარცვას. ბრალდებულ ფრანკის დამცველს თავსამტვრევი მუშაობა გაუწევია და დღიურში ამოურჩევია ყოფილი გენერალ-გუბერნატორის რამდენიმე ცოტად თუ ბევრად „ნეიტრალური" აზრი. შეუგროვებია რა ეს მრავალი ადგილიდან ამოგლეჯილი ციტატები, დამცველი უკითხავს მათ ტრიბუნალს და ამასთან ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს მისი მარწმუნებელი, წინააღმდეგ დადგენილი ფაქტებისა, სრულიადაც არ არის დამნაშავე. უფრო მეტიც, მთელი მსოფლიო რომ არ იცნობდეს ჰანს ფრანკს, როგორც პოლონეთის ჯალათს, ადვოკატის მიერ ტენდენციურად შერჩეული ციტატების მიხედვით შეიძლებოდა ფრანკი გაესაღებინათ თითქმის პოლონელი მოსახლეობის ინტერესთა დამცველად.

ჩვეულებრივი ხანმოკლე შესვენების შემდეგ ბრალდებულ ფრანკის დამცველმა ადვოკატმა ზაიდლმა დაამთავრა თავისი მარწმუნებლის საქმეზე დამამტკიცებელი საბუთების წარდგენა.

შემდეგ ტრიბუნალი გადადის ბრალდებულ ვილჰელმ ფრიკის საქმის მოსმენაზე. ფრიკის დამცველი ადვოკატი პანენბეკერი უარს ამბობს ბრალდებულის დაკითხვაზე და ტრიბუნალის ნებართვით პირდაპირ იწყებს დოკუმენტების წარდგენას.

ზედიზედ აქვეყნებს რა თავის დოკუმენტებს, დამცველი უწინარეს ყოვლისა ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს ბრალდებულ ფრიკს არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონოდეს აგრესიული ომების დაგეგმვასთან. დამცველი „დამამტკიცებელ საბუთად" იმოწმებს იმას, რომ ჰიტლერი აგრესიულ გეგმებს მხოლოდ ვიწრო წრეს განდობდა ხოლმე. დამცველის აზრით, ფრიკი როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი თითქოს ამ წრეს არ ეკუთვნოდა. აქვეყნებს რა ტენდენციურად შერჩეულ ჰიტლერის ბრძანებულებებს, ბრალდებულის მთელ რიგ ინსტრუქციებს და მოწმეთა პასუხს დაკითხვის ფურცლებზე, დამცველი ფრიკს ხატავს სრულიად უუფლებო და ურწმუნებო მინისტრად. მაგრამ თვითონ დამცველის მიერ მოყვანილ ერთ-ერთ დოკუმენტში ფრიკი დახასიათებულია სრულიადაც არა როგორც „უწყინარი მინისტრი", არამედ დასახელებულია თვალსაჩინო ჰიტლერელად.

დილის სხდომაზე ადვოკატმა პანენბეკერმა დაამთავრა ბრალდებულ ფრიკის საქმეზე დოკუმენტების წარდგენა.

24 აპრილის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 24 აპრილი. (საქტასი). ტრიბუნალის 24 აპრილის საღამოს სხდომა დაიწყო გიზევიუსის დაკითხვით; იგი დაცვამ მოწმედ გამოიწვია ბრალდებულ ფრიკის საქმის გამო. მოწმე დიდხანს მუშაობდა გესტაპოში, შემდეგ გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროში, კრიმინალურ პოლიციასა და მეურნეობის სამინისტროში. იგი იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ გაიგზავნა გესტაპოში. იქ მოკლეხანს ყოფნის შემდეგ მოწმემ საჭიროდ დაინახა ეკითხნა თავისი მეგობრისათვის, რომელმაც იგი გესტაპოში მიიწვია: „რა არის აქ, პოლიციის დაწესებულება თუ ყაჩაღთა ბრბო?" მეგობარმა უპასუხა: „თქვენ ყაჩაღთა ბრბოში იმყოფებით და, თუ აქ მოგიხდათ მუშაობა, ბევრ რამეს გამოსცდით".

მოწმე აჩვენებს, რომ გესტაპო შექმნა გერინგმა, იქ არაფერი კეთდებოდა გერინგის უნებართვოდ ან მისგან პირდაპირი ბრძანების მიუღებლად. გესტაპოს ყოველი ნაბიჯის შესახებ დაუყოვნებლივ მოახსენებდნენ გერინგს, ყოველ მცირე ამბავს ტელეფონით ატყობინებდნენ მას, ყოველი ნაბიჯის სანქციას იგი იძლეოდა. გერინგი არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა თავისი მიზნების მისაღწევად. მოწმე აცხადებს, რომ გერინგი ბრძანებას იძლეოდა მოეკლათ ესა თუ ის ადამიანი გაუსამართლებლად და გამოუძიებლად. იგი გესტაპოში გზავნიდა ბრძანებებს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მოკვლის შესახებ, ამასთან ადგილს სტოვებდა სახელთა ჩასაწერად, რათა თვითონ პოლიციის მოხელეებს ჩაეწერათ სათანადო სახელი და გასწორებოდნენ მსხვერპლს.

მოწმის სიტყვით, გერინგი დაუნდობლად აძევებდა გესტაპოდან ყველას, ვინც არ ეთანხმებოდა პოლიტიკურ ან პირად მოწინააღმდეგეთა აწიოკების მის ბინძურ მეთოდებს.

ლაპარაკობს რა 1934 წლის ეგრეთწოდებული რემის პუტჩის გარემოებათა შესახებ, მოწმე აღიარებს, რომ ფრიკს სამართლიანად მიაჩნდა გერინგისა და ჰიმლერის მიერ ამ პუტჩის დროს გამოყენებული სისხლისმღვრელი ღონისძიებანი. გიზევიუსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არა მარტო ფრიკმა, არამედ ბლომბერგმაც მოიწონა ჰიტლერელების მიერ მაშინ ჩადენილი აწიოკება.

ბლომბერგის მოხსენიების შემდეგ მოწმე შენიშნავს, რომ ამ დღეს მან გაიგონა გერინგის დამცველ შტამერის და შახტის დამცველ დიქსის ლაპარაკი ბლომბერგის შესახებ. შტამერი უეცრად წამოხტება ადგილზე და პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ სასამართლოში გამოაქვეყნდეს ისიც, როგორც იგი ამბობს დიქსთან პროფესიული საუბრის შინაარსი. მთავარი ბრალმდებელი ამერიკის შეერთებული შტატებისაგან ჯექსონი პროტესტს აცხადებს შტამერის ჩარევის წინააღმდეგ და ამბობს, რომ, რამდენადაც მან, ჯექსონმა, იცის, გერინგი და შტამერი ცდილობდნენ გავლენა მოეხდინათ მოწმეზე, რათა ეიძულებინათ იგი უარი ეთქვა გერინგისათვის არასასიამოვნო ჩვენებაზე. ამასთან გერინგი და შტამერი პირდაპირ მუქარასაც არ მოერიდნენ. ჯექსონი აცხადებს, რომ იგი უფლებას იტოვებს დაჰკითხოს ამ გარემოების შესახებ მოწმე ჯვარედინი დაკითხვის დროს, თუ სასამართლო ნებას არ დართავს მოწმეს ახლა გამოსთქვას თავისი აზრი.

ტრიბუნალი დამცველებს შტამერისა და დიქსისაგან განმარტებას მოითხოვს. შტამერი განმარტავს, თითქოს მან გადასცა დიქსს გერინგის თხოვნა—თავი შეიკავოს მოწმე გიზევიუსისათვის ბლომბერგის ქორწინების შესახებ შეკითხვების მიცემისაგან, რამდენადაც გერინგს, ხელმძღვანელობს რა „რაინდული მოსაზრებით", არ სურს შეაწუხოს განსვენებული გენერლის აჩრდილი. ხოლო თუ შახტი,—სთქვა გერინგმა,—წინააღმდეგობას არ გაუწევს ასეთ ჩვენებას, გერინგი იძულებული იქნება ყურადღება არ მიაქციოს შახტს და ანგარიში არ გაუწიოს მას. დიქსი, რომელმაც ერცლად გადასცა ტრიბუნალს შტამერთან თავისი საუბრის შინაარსი, ამტკიცებს, რომ შტამერი გერინგის სახელით დაემუქრა შახტს არასასიამოვნო ხასიათის ამბების გამოაშკარავებას, თუ გიზევიუსი შეეხო ბლომბერგის ცოლის შერთვის გარემოებას.

მოწმე გიზევიუსი ირწმუნება, რომ გერინგს შეუძლია თავი არ შეიწუხოს ბლომბერგის პირადი ცხოვრებისა და ქორწინების შესახებ ლაპარაკით, რომ იგი, მოწმე, არ აპირებს და განზრახვაც არ ჰქონია ელაპარაკნა ამის შესახებ. „ეს გარემოება,—ამბობს მოწმე,—შემდგომ გაშუქდება. მე საუკეთესოდ ზუსტად ვიცი, თუ რატომ არა სურს გერინგს, რომ მე ჩვენება მივცე ამ საკითხზე. გერინგს თავი რაინდად მოაქვს და ცდილობს ხელი შემიშალოს მოვუთხრო ტრიბუნალს ბრალდებულ გერინგის ყველაზე საშინელი მოქმედების შესახებ".

მოწმე გიზევიუსის დაკითხვის გაგრძელება გადატანილია 25 აპრილის დილის სხდომაზე.

გერმანიის კომპარტიის ყრილობაზე

ბერლინი, 23 აპრილი. (საქტასი). 20 აპრილს გერმანიის კომპარტიის ყრილობაზე სხდომის დაწყებამდე სწარმოებდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის გამგეობის არჩევნები ფარული კენჭისყრით.

შემდეგ მოხსენებით „მშრომელი გერმანელი ხალხის ერთიანობა" გამოვიდა ვილჰელმ პიკი. მან სთქვა: ჩვენმა პარტიულმა ყრილობამ უნდა გადასწყვიტოს გერმანიის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთიან სოციალისტურ პარტიად შეერთების საკითხი. ვერ ვისურვებდით ჩვენი პარტიის ოცდაათწლიანი ისტორიის ამაზე უფრო უკეთეს და უფრო ღირსეულ დამთავრებას.

შეეხო რა რეაქციის ბრძოლას მუშათა მოძრაობის გაერთიანების წინააღმდეგ, პიკმა სთქვა: „ვინმე ჰანოვერელი დოქტორი შუმახერი თავის თავს სოციალ-დემოკრატს უწოდებს. მან წამოაყენა თეზისი, რომ გერმანიის ოთხ საოკუპაციო ზონად გაყოფის დროს ერთიანი სოციალ-დემოკრატია შეუძლებელია, რომ აღარა ვთქვათ რა ერთიანი სოციალისტური პარტიის შესახებ. ამ ვაჟბატონს პრეტენზია აქვს გერმანიაში საკუთარი სამეფო შექმნას, აცხადებს რა თავის თავს დასავლეთი ზონების სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადად. მან საკმაოდ დიდი ძალღონე დახარჯა, რომ ხელი შეეშალა გაერთიანებისათვის, მაგრამ თანდათანობით გამომჟღავნდა თვითონ, როგორც მუშათა კლასის მტერმა და რეაქციის აგენტმა. გაერთიანება ორივე პარტიის დიდი უმრავლესობის ნებასურვილია". დაასურათა რა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის წინაშე მდგომი ამოცანები, პიკმა დასასრულ სთქვა: „გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის შექმნამ იმედი და რწმენა გაუღვივა მშრომელი ხალხის ფართო მასებს. ბოლოს, დადგა დრო, როცა ძმათსაკლავი ბრძოლა სამუდამოდ დასამარებულია. ჩვენ გაერთიანებული ვიქნებით ერთ პარტიად ერთობლივი ბრძოლისათვის. ჩვენ გვეყოლება ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც გააერთიანებს ჩვენს ძალებს ახალი მშენებლობის საწარმოებლად, სოციალიზმისათვის საბრძოლველად".

ვილჰელმ პიკის მოხსენების შემდეგ მოსმენილ იქნა სარედაქციო კომისიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის წესდებაში შესწორებათა შემტანი კომისიის ცნობები.

თავისი მუშაობის დასასრულს გერმანიის კომუნისტური პარტიის მე-15 ყრილობამ ერთხმად მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

გერმანიის კომუნისტური პარტია გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად შეიკრიბება 1946 წლის 21 და 22 აპრილს ბერლინში პარტიის გამაერთიანებელ ყრილობაზე, რათა გაატაროს ორივე პარტიის გაერთიანება და ამით შექმნას გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია. იმ რაიონებსა და ოლქებში, რომლებშიც გერმანიის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივსა და საოლქო ორგანიზაციებს გაერთიანება არ მოუხდენიათ, საჭიროა შეიქმნას ორივე პარტიის წევრთაგან შემდგარი საორგანიზაციო კომიტეტები იმ მიზნით, რომ მთელი ენერგიით და დაუყოვნებლივ განხორციელდეს სოციალისტური მოძრაობის ერთიანობა, როგორც კი რაიონსა ან ოლქში მიღებულ იქნება გადაწყვეტილება გაერთიანებისა და ერთიანი სოციალისტური პარტიის ორგანიზაციის შექმნის შესახებ. კომუნისტური პარტიის ორგანიზაცია შესწყვეტს იქ თავის არსებობას.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა

ბერლინი, 23 აპრილი. (საქტასი). 19 აპრილს ბერლინში გაიხსნა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მე-40 ყრილობა. ყრილობაზე ჩამოვიდა 548 დელეგატი, მათ შორის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების 100-ზე მეტი წარმომადგენელი გერმანიის დასავლეთი ზონებიდან. დარბაზში არიან საბჭოთა სამოკავშირეო საოკუპაციო ხელისუფალთა წარმომადგენლები, მოკავშირეთა და გერმანიის პრესის კორესპონდენტები.

ყრილობა გახსნა ოტო გროტევოლმა. იგი მიესალმა დელეგატებს და მრავალრიცხოვან სტუმრებს, განსაკუთრებით კი გერმანიის დასავლეთი რაიონებიდან ჩამოსულ დელეგატებს, რომლებიც, მიუხედავად ბევრი სიძნელისა, თავდადებულად მუშაობდნენ ერთიანობის შექმნის სასარგებლოდ.

გერმანიის კომუნისტური პარტიის სახელით ყრილობას მიესალმა ფრანც დალემი.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური გამგეობის მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა მაქს ფეხნერი. მან დაწვრილებით ილაპარაკა ცენტრალური გამგეობის მიერ შესრულებული საორგანიზაციო მუშაობის შესახებ. ოთხი ანტიფაშისტურ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების ერთობლივი მუშაობის შედეგად ჩატარებულ იქნა მიწის რეფორმა და საფუძველი ჩაეყარა მრეწველობაში რეფორმის გატარებას. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური გამგეობისა და გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთობლივი მუშაობიდან განვითარდა მოქმედების ერთიანობა, რამაც გამოხატულება ჰპოვა 1945 წლის 20 და 21 დეკემბრის გადაწყვეტილებებში, რომლებმაც დასაწყისი მისცეს გაერთიანების პირველ ფაზას.

20 აპრილს ყრილობის სხდომის დაწყებამდე დელეგატებმა მონაწილეობა მიიღეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ახალ გამგეობაში 40 წარმომადგენლის ასარჩევად ჩატარებულ ფარულ კენჭისყრაში.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობის ყურადღების ცენტრში 20 აპრილს იყო პარტიის პირველი თავმჯდომარის ოტო გროტევოლის მოხსენება თემაზე: „გერმანიის მშრომელი ხალხის ერთიანობა". ყრილობაზე გამოქვეყნებულ იქნა ინგლისის პროფკავშირული მოძრაობის ცნობილი ლიდერებისა და ინგლისის პარლამენტის ლეიბორისტული პარტიის წევრ დეპუტატებისაგან მიღებული წერილი.

თავისი მუშაობის დასასრულს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ეხება სოციალ-დემოკრატიული და კომუნისტური პარტიების ერთიან სოციალისტურ პარტიად გაერთიანების განხორციელებას. „ადგილებზე და იმ ოლქებში, სადაც გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და გერმანიის კომუნისტური პარტიის ადგილობრივ და საოლქო კომიტეტებს ჯერ კიდევ არ მოუხდენიათ გაერთიანება. — ნათქვამია გადაწყვეტილებაში, — საჭიროა დაუყოვნებლივ შეიქმნას საორგანიზაციო კომიტეტები ორივე პარტიის წარმომადგენელთაგან, რათა მთელი ენერგიითა და სისწრაფით ჩატარდეს სოციალისტური მოძრაობის გაერთიანება. როგორც კი ადგილებზე და ოლქებში დამთავრდება გაერთიანება და შექმნილ იქნება გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაცია შესწყვეტს თავის არსებობას".

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დამფუძნებელი ყრილობა

ბერლინი, 23 აპრილი. (საქტასი). 21 და 22 აპრილს ბერლინში სწარმოებდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პირველი ყრილობა. ყრილობას დაესწრო 507 დელეგატი გერმანიის ყოფილი კომუნისტური პარტიისაგან და 548 დელეგატი გერმანიის ყოფილი სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან. მათ შორის გერმანიის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციების 230 წარმომადგენელი გერმანიის დასავლეთი ოლქებიდან.

ყრილობის გახსნისას მოკლე სიტყვებით გამოვიდნენ ოტო გროტევოლი და ვილჰელმ პიკი.

პიკის მისასალმებელი სიტყვის შემდეგ დელეგატებმა ერთსულოვნად აირჩიეს ყრილობის ოთხი თავმჯდომარე — ვილჰელმ პიკი, ოტო გროტევოლი, ვალტერ ულბრიხტი და მაქს ფეხნერი. ყრილობის პირველ დღეს თავმჯდომარეობდა მაქს ფეხნერი. ყრილობამ აირჩია კომისიები და დაამტკიცა დღის წესრიგი. შემდეგ მისალმებით გამოვიდნენ ბერლინის ობერ-ბურგომისტრი დ-რი ვერნერი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბერლინის ორგანიზაციისაგან კარლ ლიტკე და გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანებისაგან ჰანს ენდრეცკი.

ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღებით მოისმინა დასავლეთ გერმანიის დელეგატთა სიტყვები. მაქს რაიმანმა (რურის ოლქი) თავის სიტყვაში სთქვა, რომ რურის ოლქსა და ვესტფალიაში ძველი ფეოდალები არხეინად ჰფლობენ მიწას, ხოლო რეაქციონერი ოფიცრები და სს-ელებიც კი მუშაობენ მათ მამულებში მოურავებად. მაშინ, როდესაც მოსახლეობა შიმშილობს, ეს რეაქციონერები სპეკულაციას ეწევიან კვების პროდუქტებით.

ყრილობაზე, რომელზეც თავმჯდომარეობდა ვალტერ ულბრიხტი, დღის წესრიგის ყურადღების ცენტრში იყო პიკისა და გროტევოლის მიერ გაკეთებული მოხსენება „ერთიანი პარტია და გერმანიის ახალი მშენებლობა". იმის გამო, რომ მოხსენების ძირითადი დებულებანი ნათლად იქნა გაშუქებული პიკისა და გროტევოლის სიტყვებში, საქსონიის პროვინციის დელეგატებმა წინადადება შეიტანეს კამათი არ გახსნილიყო.

სარედაქციო კომისიის წინადადებით ყრილობამ მიიღო გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ძირითადი დებულებებისა და მიზნების პროექტის შესწორება და შემდეგ ერთხმად დაამტკიცა ისინი. ყრილობამ მოისმინა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის წესდების შემმუშავებელ კომისიის მოხსენება და დაამტკიცა წესდება, რომელშიც მთელი რიგი შესწორებები შეიტანა. წესდების წინააღმდეგ ხმა მისცა 21 დელეგატმა დამსწრე 1.055 დელეგატიდან. ყრილობამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო მანიფესტი გერმანელი ხალხისადმი.

ვალტერ ულბრიხტმა გამოაქვეყნა წინადადება გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დაარსების შესახებ. წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

თავისი მუშაობის დასასრულს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ყრილობამ დაამტკიცა ახალი პარტიის გამგეობა 80 წევრის შემადგენლობით, რომლებიც წინა დღეს ფარული კენჭისყრით აირჩიეს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და გერმანიის კომუნისტური პარტიის უკანასკნელმა ყრილობებმა.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარეებად ერთხმად არჩეული არიან ვილჰელმ პიკი და ოტო გროტევოლი.

მომავალი რეფერენდუმისათვის საფრანგეთში

პარიზი, 24 აპრილი. (საქტასი). 5 მაისს საფრანგეთში შესდგება რეფერენდუმი ახალი კონსტიტუციის საკითხზე, ხოლო 2 ივნისს — ეროვნული კრების დეპუტატთა არჩევნები. 21 აპრილს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წერილით მიმართა სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს; წერილში ნათქვამია:

„დამფუძნებელ კრებაში კენჭისყრის შედეგად, რომელმაც 309 ხმით 249 ხმის წინააღმდეგ დაამტკიცა საფრანგეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, ამიერიდან რეფერენდუმის ჩატარების კამპანია დაწყებულია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველაფერი უნდა ვიმოქმედოთ, რათა ეს კამპანია მაქსიმალური ენერგიით ჩატარდეს და მივაღწიოთ იმას, რომ კონსტიტუცია მოწონებულ იქნას „ჰო" პასუხის მნიშვნელოვანი უმეტესობით. ორივე ჩვენმა პარტიამ გადამწყვეტი როლი შეასრულა დამფუძნებელ კრებაში კონსტიტუციის მიღებისათვის და რესპუბლიკური საფრანგეთი მოელის, რომ ისინი არანაკლებ გადამწყვეტ როლს შეასრულებენ რეფერენდუმის ჩატარების კამპანიაში. ამიტომ, გვსურს რა გავამართლოთ ყველა რესპუბლიკელისა და ორივე პარტიის აქტივისტების მოლოდინი, წინადადებას გაძლევთ ერთობლივად მოვაწყოთ რეფერენდუმის ჩატარების კამპანია. იმ შემთხვევაში, თუ მიიღებთ ჩვენს წინადადებას—ჩვენ კი ამის იმედი გვაქვს—ორივე პარტიის შემათანხმებელ კომიტეტს შეეძლებოდა სასწრაფოდ შეკრებილიყო საჭირო ზომების მისაღებად, რათა 5 მაისს უზრუნველყოფილ იქნას რესპუბლიკის [illegible] გამარჯვება".

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა [illegible] ერთსულოვნად, მიიღო ამომრჩევლებისადმი მიმართული და მომავალი რეფერენდუმისათვის მიძღვნილი „საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მანიფესტის" ტექსტი.

მანიფესტში ნათქვამია, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების შემდეგ „განმტკიცდა რესპუბლიკური უმეტესობა, რომელმაც გადაწყვიტა ბოლო მოეღოს გარდამავალ მდგომარეობას და საფრანგეთში დაარსოს დემოკრატიული საერო და სოციალური რესპუბლიკა. რეაქციონერებს, ტრესტების მაგნატებს, ცოტად თუ ბევრად შენიღბულ ვიშელებს სურთ გააზანგრძლივონ გარდამავალი მდგომარეობა, რომელიც ხელსაყრელია ავანტიურებისათვის. ისინი იბრძვიან რესპუბლიკის წინააღმდეგ, თავი მოაქვთ დემოკრატებად, იმედოვნებენ გათიშონ რესპუბლიკური ძალები. რესპუბლიკელთა მოვალეობა ის არის, რომ დაამარცხონ რეაქცია და უზრუნველყონ დემოკრატიის გამარჯვება".

პარიზი, 24 აპრილი. (საქტასი). ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ სოციალისტურმა პარტიამ უარჰყო კომუნისტური პარტიის წინადადება დამფუძნებელი კრების მიერ მოწონებული საფრანგეთის ახალი კონსტიტუციის პროექტის დამტკიცებისათვის ერთობლივი კამპანიის ჩატარების შესახებ.

საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირის" მეორე ყრილობის მიმართვა

ჰელსინკი, 24 აპრილი. (საქტასი). გუშინ დედაქალაქის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირის" რწმუნებულთა მე-2 ყრილობის მიმართვა საზოგადოების წევრებისა და ფინეთის ხალხისადმი.

„ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობა, — ნათქვამია მიმართვაში, — იყო და არის სასიცოცხლო საკითხი ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხისათვის. იგი არის პოლიტიკური სტაბილიზაციის, აგრეთვე ეკონომიკის და კულტურის განვითარების დარგში აღდგენითი სამუშაოების ძირითადი წანამძღვარი".

ყრილობა თავის მიმართვაში მოუწოდებს ყველას, ვინც კი მშვიდობის მომხრეა, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირის" მუშაობაში.

ფინეთის მთავრობის დელეგაცია ჰელსინკს დაბრუნდა

ჰელსინკი, 24 აპრილი. (საქტასი). დღეს მოსკოვიდან ჰელსინკს დაბრუნდნენ ფინეთის მთავრობის დელეგაციის წევრები პრემიერ-მინისტრ მაუნო პეკალას მეთაურობით. მალმის აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ კაბინეტის წევრები, სეიმის თავმჯდომარე ფაგერჰოლმი, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მოვალეობის ამსრულებელი ლუნდკვისტი და სხვ.

დელეგაციას შეხვდნენ აგრეთვე ფინეთში მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი სავონენკოვი და სხვები.

ხმები აკაბის არხის მშენებლობის შესახებ

კაირო, 25 აპრილი. (საქტასი). ეგვიპტური ჟურნალი „ალ-მოსა" სტატიაში, რომელსაც სათაურად აქვს „სუეცის ახალი არხი", სწერს: „ხმები დადის, რომ ინგლისელებს სურთ განალაგონ თავიანთი ჯარები სუეცის არხის აღმოსავლეთ ნაპირის გასწვრივ ათი წლით, მანამდე, ვიდრე არ გაიყვანენ აკაბის ახალ არხს, რომელიც მეწამულ ზღვას ხმელთაშუა ზღვასთან შეაერთებს და სუეცის არხს შესცვლის. ახალი არხის მშენებლობის გეგმა ძლიერ წინააღმდეგობას ხვდება ეგვიპტელთა მხრივ და დიდ სიძნელეებს ჰქმნის ინგლისისა, ეგვიპტესა და საუდის არაბეთს შორის ურთიერთობაში".

ასოციაცია „მუსლიმანი ძმების" ლიდერის წერილი სადკი-ფაშას სახელზე

კაირო, 24 აპრილი. (საქტასი). არაბულმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ასოციაცია „მუსლიმანი ძმების" ლიდერის ჰასან-ელბანას წერილი ეგვიპტის პრემიერ-მინისტრ სადკი-ფაშას სახელზე. ჰასან-ელ-ბანა სადკი-ფაშას ურჩევს დაამთავროს ინგლის-ეგვიპტის მოლაპარაკება 6 მაისისათვის, რათა ეგვიპტეს შეეძლოს იდღესასწაულოს გამარჯვების დღე ან ბრძოლის დღე ტახტზე მეფის ასვლის წლისთავთან ერთად. „თქვენი წმიდა მოვალეობაა, — ნათქვამია წერილში, — ისწრაფვოდეთ, რომ მოლაპარაკება დროზე დამთავრდეს, და არახელსაყრელი შედეგების შემთხვევაში ეგვიპტის საკითხი განსახილველად დააყენოთ უშიშროების საბჭოში. თქვენ ნათლად უნდა განუცხადებინათ ბრიტანეთის დელეგაციისათვის, რომ ამჯერად ერთსულოვნად მოითხოვს ყველა მისი უფლების რეალიზაციას და რომ მხოლოდ ამის საფუძველზე შეიძლება მოლაპარაკების წარმოება. წარმატება ან ბრძოლა!"

ჰასან-ელ-ბანა თავის წერილს ამთავრებს დარწმუნებით, რომ ასოციაცია „მუსლიმანი ძმები" მზად არის შეასრულოს თავისი მოვალეობა.

სენატის სამხედრო საქმეთა კომისიამ მოიწონა კანონპროექტი ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის გაერთიანებული სამინისტროს შექმნის შესახებ

ნიუ-იორკი, 23 აპრილი. (საქტასი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება, სენატის სამხედრო საქმეთა კომისიამ ათი ხმით ერთი ხმის წინააღმდეგ მოიწონა კანონპროექტი თავდაცვის გაერთიანებული სამინისტროს შექმნის შესახებ, რაც წინათ რეკომენდებული იყო სენატის ქვეკომისიის მიერ.

კომისიის თავმჯდომარემ ტომასმა (დემოკრატი იუტის შტატისაგან) განაცხადა, რომ კომისიას არ შეუცვლია კანონპროექტის თავდაპირველი ფორმა, რომელიც წარმოდგენილი იყო ქვეკომისიის მიერ. შემდეგ მან სთქვა, რომ კომისია არ შეეცდება, რათა კონგრესმა დაუყოვნებლივ მოიწონოს ეს კანონპროექტი.

ფრანკოს რეჟიმი მშვიდობას ემუქრება

ამერიკელ სენატორ ტეილორის გამოსვლა რადიოთი

ნიუ-იორკი, 25 აპრილი. (საქტასი). 22 აპრილს რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში სენატორი ტეილორი (დემოკრატი აიდახოს შტატისაგან) ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწოდებდა დიპლომატიური ურთიერთობა გასწყვიტონ ესპანეთთან და შესწყვიტონ მასთან ვაჭრობა. ტეილორმა აღნიშნა, რომ იგი ვერ დაეთანხმება მათ, ვინც ამტკიცებს, თითქოს ფრანკო საშიშროებას არ წარმოადგენს, და განაცხადა: „ფრანკო კვლავ ეწევა ომს ესპანელი ხალხის წინააღმდეგ... ეგი უდიდესი გავლენით სარგებლობს სამხრეთ ამერიკაში, სადაც არგენტინელი ფაშისტები მისი ხელმძღვანელობით მოქმედებენ. მთელ ლათინურ ამერიკაში მუშათა წინააღმდეგ განწყობილი რეაქციული ძალები ესპანურ ფალანგასთან ერთად ჰქმნიან საერთაშორისო ინტრიგებისა და შპიონაჟის უდიდეს ქსელს. მანამდე, ვიდრე რომელიმე ფაშისტური ქვეყანა არსებობს, იარსებებს ჰიტლერიზმის გავრცელების ბუდე".

საომარი მოქმედება ინდონეზიაში

ჰააგა, 23 აპრილი. (საქტასი). აქ მიღებული ცნობებით, ინდონეზიაში გრძელდება სერიოზული შეტაკებანი ერთი მხრივ ინდონეზიელებსა და მეორე მხრივ ჰოლანდიისა და ინგლისის ჯარებს შორის. ბრძოლები სწარმოებს ბორნეოს სამხრეთ ნაწილში, სადაც გადასხდნენ ჰოლანდიის ჯარები, და ცელებესის სამხრეთ ნაწილში.

ბატავიის აღმოსავლეთით ჰოლანდიელთა პატრული ბრძოლას ეწეოდა ინდონეზიელთა ჯგუფთან. კვლავ ხდებოდა შეტაკებანი ჰოლანდიელებსა და ინდონეზიელებს შორის ბანდუნგისა და ბაიტენზორგის რაიონებში. ლემბანგის ახლოს ინგლისელთა პატრულმა არტილერია იხმარა ინდონეზიელთა წინააღმდეგ. ბრძოლები არ ცხრება სემარანგის რაიონშიც.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ბ. ნანიტაშვილი**

თეატრებში

27 აპრილს: სახელმწიფო ოპერა—„ევგენი ონეგინი". **რუსთაველის სახელობის**—„ინსპექტორი მოვიდა". **მარჯანიშვილის სახელობის** —„ფიქრის გორა". **გრიბოედოვის სახელობის** —„მელიები". **სომხური**—„ქაოსი". **აბუნდოვის სახელობის**—„ოტელო". **მუსიკალური კომედიის**—„კოლომბინა". **პლეხანოვის სახელობის კლუბი**—კონცერტი. **სანკულტურის**—„ასეც იქნება". **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—„ბაში-აჩუკი". **რუსული**—„ორი ბატონის მსახური". **თოჯინების ქართული**—„ალადინის ჯადოსნური ლამპარი".

მოქალაქე **ვალერიან დიმიტრის-ძე წილოსანმა**, მცხოვრებმა ვარდისუბნის ქ. № 9, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **თინა სიმონის-ასულ ბაქრაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **გიორგი ნიკიტას-ძე ასმიანმა**, მცხოვრებმა მატერიალური ქ. № 24, აღძრა საქმე დავითაშვილის ჩიხი № 4 მცხოვრებ მოქალაქე **ვაიანე ისაკის-ასულ ტერ-ოგანესიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის 111 უბნის სახალხო სასამართლო.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტი აცხადებს, რომ მეცნიერებათა აკადემიის სხდომების დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) ა. წ. 7 მაისს, დღის 2 საათზე, შესდგება ბოტანიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა, რომელზეც ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ ბოტანიკის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომლები:

ქუთათელაძე შუშანა ილიას-ასული თემაზე: **„საქართველოს ველური მხლები"**.

ოფიციალური ოპონენტები: აკადემიკოსი **ნ. ნ. კეცხოველი** და დოცენტი **ა. ქ. მაყაშვილი**.

პაპავა ვასილიდა იოსების-ასული თემაზე: **„კავკასიის კოწახურები"**.

ოფიციალური ოპონენტები: აკადემიკოსი **ნ. ნ. კეცხოველი** და ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი **ა. ლ. ხარაძე**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ბოტანიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (კოჯრის გზატკეცილი).

დირექცია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 10 მაისს, დღის 2 საათზე, ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 16) შესდგება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელზეც ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა კათედრის დოცენტი **გრიგოლ პავლეს-ძე ხუციშვილი** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„მახალები ხმენის ორგანოს მიკროპათომორფოლოგიის და კლინიკისათვის მალარიის დროს"**.

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნულნი არიან: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე აკადემიკოსი **გრიგოლ მუხაძე**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ირაკლი ტატიშვილი** და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **ა. ჰეიშვილი**.

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (მელიქიშვილის ქ. № 16) დღის 9-დან საღამოს 10 საათამდე.

დირექცია

ოჯახი იუწყება **ანდრო სულაქველიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27/IV, 8 ს. გამოსვენება 28/IV, 4 ს. წყლისანის, 3.

ოჯახი იუწყება **ოლია დემეტრაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27/IV, 8 ს. გამოსვენება 28/IV, 5 ს. ყაზბეგის, 39.

შვილები ტარასი, აგრიპინა, სიძე იაკობ მონიავა იუწყებიან **ევდოკია იაკობის-ასულ ბაკურია-გაბისონიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 28/IV, 4 ს. საქაიას ქ. 2, კუკიის სასაფლაოზე.

ა. მარჯანიშვილი ოჯახით იუწყება **გიორგი ივანეს-ძე ეძგვერაძის** გარდაცვალებას.

სამგორის საპროექტო განყოფილების ინჟინერთა ჯგუფი იუწყება ინჟინერ ლაბაშიძის სიძის **ბორის ყაზილბაშის** გარდაცვალებას.

სილოვან კაკაბაძის ოჯახი იუწყება **ბესარიონ ნიკოს-ძე მეძმარიაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28/IV, 5 ს. სოფელ მუხიანში.

ოჯახი იუწყება **მაგრა ბეგლარის-ასულ აბაშიძე-დალაქიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28, 29/IV, 7 ს. გამოსვენება 30/IV, 6 ს. პასტერის, 7.

ოჯახი იუწყება **იულია იაგორის-ასულ ფირცხელაურის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27/IV, 7 ს. გამოსვენება 28/IV, 5 ს. კლდიაშვილის, 14.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3.06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. ⱾⱢ 00150